06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	282.9	0.0	282.9	280.1	0.0	280.1	99.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24.0		24.0	25.0		25.0	
	ხარჯები	252.0	0.0	252.0	249.3	0.0	249.3	98.9
	სუბსიდიები	252.0	0.0	252.0	249.3	0.0	249.3	98.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30.9	0.0	30.9	30.8	0.0	30.8	99.7
	ძირითადი აქტივები	30.9	0.0	30.9	30.8	0.0	30.8	99.7
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	206.2	0.0	206.2	199.5	0.0	199.5	96.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0		22.0	23.0		23.0	
	ხარჯები	166.2	0.0	166.2	161.1	0.0	161.1	96.9
	სუბსიდიები	166.2	0.0	166.2	161.1	0.0	161.1	96.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.0	0.0	40.0	38.4	0.0	38.4	96.0
	ძირითადი აქტივები	40.0	0.0	40.0	38.4	0.0	38.4	96.0
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	264.0	0.0	264.0	263.8	0.0	263.8	99.9
	ხარჯები	264.0	0.0	264.0	263.8	0.0	263.8	99.9


	სოციალური უზრუნველყოფა	264.0	0.0	264.0	263.8	0.0	263.8	99.9
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	1,479.0	0.0	1,479.0	1,471.1	0.0	1,471.1	99.5
	ხარჯები	1,479.0	0.0	1,479.0	1,471.1	0.0	1,471.1	99.5
	საქონელი და მომსახურება	1.1	0.0	1.1	0.6	0.0	0.6	54.5
	სუბსიდიები	58.1	0.0	58.1	56.8	0.0	56.8	97.8
	სოციალური უზრუნველყოფა	1,419.8	0.0	1,419.8	1,413.7	0.0	1,413.7	99.6
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	10.8	0.8	10.0	10.0	0.8	9.2	92.6
	ხარჯები	10.8	0.8	10.0	10.0	0.8	9.2	92.6
	სოციალური უზრუნველყოფა	10.8	0.8	10.0	10.0	0.8	9.2	92.6
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0	100.0
	ხარჯები	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0	100.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0	100.0

### III თავი. ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 32,095.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37,124.4 ათასი ლარი) 86.5 პროცენტია.



## პრიორიტეტული მიმართულებების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში



### 1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4 203,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 521,7 ათასი ლარი) 92,97 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა ხარჯები: სამტრედიის საკრებულო - 926,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3 002,0 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (დელეგირებული უფლებამოსილება) - 151,0 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 114,1 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა წლის დასაწყისში შეადგენდა - 200,0 ათას ლარს, ხოლო აღნიშნული გეგმა შემცირდა საკრებულოს გადაწყვეტილებით და გადანაწილდა ძირითადად ინფრასტრუქტურული მიმართულებებით და წლის ბოლოს გეგმა შეადგენდა -10,0 ათასი ლარს). მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურებაზე გაიწია 104,9 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 70,1 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 34,8 ათასი ლარი. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 19,4 ათასი ლარი.

### 2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)


მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 13 866,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 84,6 %-ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
-----------------	----------------------	-------	-------	----------

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16,389.1	13,866.3	84.6
02 01	გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	9,586.5	8,570.8	89.4
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,357.2	1,872.8	79.5
02 02 01	ბინათმშენებლობა <sup>1</sup>	1,473.1	1,021.9	69.4
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	83.8	71.9	85.8
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	800.3	779.0	97.3
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3,479.9	2,654.8	76.3
02 03 01	საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	7.3	6.8	93.2
02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	3,334.1	2,513.2	75.4
02 03 05	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	138.5	134.8	97.3
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	961.7	766.8	79.7
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	3.8	1.1	28.9

(თანხა ათას ლარებში)



**2.1 გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)**

2022 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლებში და ქ. სამტრედიაში დაიგო დაახლოებით 22000 გრძ.მ ასფალტ ბეტონისა და 8700 გრძ.მ ბეტონის საფარი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ახალი მოეწყო დაახლოებით 2500 გრძ.მ სანიაღვრე არხი. საერთო

<sup>1</sup> ბინათმშენებლობის პროგრამაში გათვალისწინებული იყო გარდამავალი პროექტები და სატენდერო პირობებიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდა დეკემბრის თვეში.



ჯამში 8000- მდე ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი. დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

1. დაფნარი-ოფეთის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება
2. ქ. სამტრედიაში დადიანის ქუჩაზე რაგბის სათამაშო სტადიონის მოწყობა
3. ქ. სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდ. ლოლობიდან ავტოსადგურამდე გზის საფარის რეაბილიტაცია
4. ქ. სამტრედიაში, ჭონქაძის ქუჩის მოედანზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
5. ქ. სამტრედიაში, თ. დუნდუას I ჩიხში; რესპუბლიკის მე-5 ჩიხში; ფარნავაზის ქუჩის I ; V ჩიხებში და მე-3 შესახვევში ; ერისთავის ქუჩისა (გეოლოგების კორპუსის გვერდით) და ერისთავის I ჩიხში; ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
6. წინსვლის ქუჩის გაგრძელება და წინსვლის ქუჩის მე-3 შესახვევში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
7. ქ. სამტრედიაში, ამირან კალაძის ქუჩის III; IV; V; VI; VI-ა; VIII ჩიხებში და I; III; V შესახვევებში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
8. ქ.სამტრედიაში,ბარათაშვილის ქუჩის, ფიროსმანის I ჩიხში და ელიავას I ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
9. ქ. სამტრედიაში კოსტავას ქუჩიდან ავტოტექმომსახურეობასთან და შ.პ.ს. „კინგვინთან" მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტ ბეტონის საფარით
10. სოფ. I მიწაბოგირაში ჭაგნის გადასახვევიდან სოფ. ეწრის მიმართულებით
11. დაბა კულაში, მეგობრობის N1; N3; N4; N4ა; N5; N6; N7; N8 ჩიხებში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
12. ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალსოფელში ბორანთან მისასვლელი გზის პარალელურ ქუჩაზე თავისი შესახვევებით ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
13. სოფ. ზემო ნოღაში ე.წ. ბეგეს უბანში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
14. ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ხუნჯულაურში N4 და N9 გზების და სოფ. ჩხენიშის N10 ქუჩის რეაბილიტაცია ასფალტ ბეტონის საფარით
15. გომის ადმ. ერთეულში სოფ. გომუხაყრუაში მე-2 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა
16. სოფ. ზემო ნოღაში ცენტრალური გზის გაგეგმელებაზე სოფლის კლუბიდან სოფ. გამოჩინებულის საზღვრამდე ბეტონის გზის გება
17. ქ. სამტრედიაში კრავეიშვილის ქუჩის გაგრძელებაზე, რობაქიძის ქუჩის მე-3 შესახვევში, ჯეოჰოსპიტალის მიწებზე ავტოსადგომისა და ტროტუარის და N8 საჯარო სკოლასთან არსებულ მოსაცდელთან ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
18. სოფ ნაბაკევი ტაძრის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
19. სოფ. ჩხენიშში N2 ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა
20. ქ. სამტრედიაში სანაპიროს ქუჩაზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა
21. სოფ. ტოლებში ე.წ. აჭარლების დასახლებაში ბეტონის საფარის მოწყობა
22. გომის ადმ ერთეულის სოფ. დაბლა გომში N4 ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგება
23. სოფ. გომუხაყრუა-გომნატეხების მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა
24. სოფ. დიდი ჯიხაიში 37-ე. ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
25. სოფ. დიდი ჯიხაიში 38-ე. ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
26. დანირის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. დაღანიძეების უბანში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება
27. სოფ. დიდი ჯიხაიში N21 ქუჩიდან ჭაგნის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები
28. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნაბაკევის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშის N2 და N5 ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა N3 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა, N4 ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა, N7 ქუჩის გაგრძელებაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა
29. ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა, სოფელ დიდ ჯიხაიში ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოებით.
30. ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა სოფელ დანირში ა/ბეტონის საფარის მოწყობის გზით.

31. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ კორმადალში ა/ბეტონის საფარის დაგება
32. ქ.სამტრედიაში, კრავიშვილის ქუჩაზე არსებული ტროტუარების შევიწროების სამუშაოების შესყიდვა
33. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების ორმული შეკეთება
34. ქ. სამტრედიაში, ხვედელიძის ქუჩის გაგრძელებაზე და ფერისცვალების ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის დაგება.
35. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დაბა კულაშში N9 და N10 ჩიხებში და სოფ. მეორე მიწაბოგირასთან მისასვლელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები
36. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმადალში ე.წ. „დევაძეების უბანში“ საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაგების და სოფელ გორმადალში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები.
37. ყოფილი ძველი სამტრედიის კოლმეურნეობის ე.წ. რიონგაღმა საყანე ფართობებთან მისასვლელი და მისასვლელი ცენტრალური გზის ჩაწყვეტილი ადგილების მოხრეშვის სამუშაოები.
38. სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ. ბაშში მეფუტკრეობასთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
39. ქ. სამტრედიაში აღმაშენებლის ქუჩის 1-2-3- შესახვევებში და ჭავჭავაძის ქ. N2-ში ყოფ, სასტუმროს ეზოში ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.
40. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. „ბაშურის“ ტერიტორიაზე საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების მოხრეშვის სამუშაოები.
41. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეწერ-ბაშის მიმართულებით საყანე ფართობებამდე და მოცვის პლანტაციებამდე მისასვლელი 1.4 კმ. გზის მოხრეშვა-მოშანდაგების სამუშაოები.
42. ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N242-ში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ წყაროსთან მისასვლელ გზაზე და ე.წ. ხ.დ.კ-ს დასახლებაში კოსტავას ქუჩაზე ავტოპარკინგის მოწყობა.
43. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმადალში ე.წ. „დევაძეების უბანში“ საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაგების და სოფელ გორმადალში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები
44. ქ. სამტრედიაში, შარტავას ქუჩის დასაწყისში არსებული სანიაღვრე არხის, რესპუბლიკის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის კვეთამდე არსებული სანიაღვრე არხისა და რუსთაველის ქუჩაზე, დ. აღმაშენებლის სახელობის ტაძრიდან რესპუბლიკის ქუჩის კვეთამდე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
45. ქ. სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქ. ბინა N 3-დან ქართველიშვილის ქუჩამდე საწრეტი არხისა და ცხაურის მოწყობის და რუსთაველის ქ. N10 ბინის საწრეტი არხის და ბოგირის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
46. ქ. სამტრედიაში, ხეივნის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის, ჩოლოყაშვილისა და ტაბიძის ქუჩების კვეთაზე წყალსაწრეტი არხის მოწყობის და ბახტაძისა და ჩეხოვის ქუჩის კვეთაზე მონოლითური ბეტონის სანიაღვრე არხისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
47. ქ.სამტრედიაში, კრავიშვილის ქუჩაზე არსებული ტროტუარების შევიწროების სამუშაოების შესყიდვა
48. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში წყალსაწრეტი არხის გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვა
49. ქ. სამტრედიაში, შარტავას ქუჩის დასაწყისში არსებული სანიაღვრე არხის, რესპუბლიკის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის კვეთამდე არსებული სანიაღვრე არხისა და რუსთაველის ქუჩაზე, დ. აღმაშენებლის სახელობის ტაძრიდან რესპუბლიკის ქუჩის კვეთამდე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

### შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე სისტემა;
- მოსახლეობამ შეძლო შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

### 2.2 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა ამხანაგობის პროგრამის თანადაფინანსებით, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფასადებს, კერძოდ გამოყენებული იქნა ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. აღნიშნული პროექტით სარგებელი ნახა, როგორც ადგილობრივმა

მოსახლეობამ, ასევე პროექტმა დადებითად იმოქმედა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაზე. დაახლოებით 1000 მდე ბენეფიციარლა მიიღო ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებით სარგებელი.

1. ხ.დ.კ-ს დასახლების ურბანული განახლებისთვის მრავალბინიანი კორპუსების (კოსტავას ქ. N92 და კოსტავას ქ. N148ა) რეაბილიტაცია ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით
2. ხ.დ.კ-ს დასახლების ურბანული განახლებისთვის მრავალბინიანი კორპუსების (კოსტავას ქ. N168 და კონსტიტუციის N1) რეაბილიტაცია ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით
3. ხ.დ.კ-ს დასახლების ურბანული განახლებისთვის მრავალბინიანი კორპუსების (კოსტავას ქ. N90, კოსტავას ქ. N90ა და კოსტავას ქ. N90ბ) რეაბილიტაცია ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით

ასევე, ამხანაგობის პროგრამით, თანადაფინანსების პრინციპით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალსართულიანი კორპუსების სახურავებს:

1. მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა (კოსტავას ქ. N92 და კოსტავას ქ. N90);
2. ქ. სამტრედიაში, კოსტავას ქ. N148 ა- ში მდებარე ხუთსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
3. ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N8- ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
4. ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N2-ში მდებარე მრავალსართულიანი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
5. ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა III ჩიხი ბინა N1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
6. ქ.სამტრედიის, ნინოშვილის ქუჩის N53-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

#### **შუალედური შედეგი**

- გაუმჯობესდა მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

### **2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02 )**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ქვაყუდეში წყალმომარაგების სისტემით ნაწილობრივი რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტით 150 ამდე ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გორმადლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვაყუდეში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები

#### **შუალედური შედეგი**

- გაუმჯობესდა მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობა.

### **2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)**

აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შექმნა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულს (შეიცვალა და მოეწყო ახალი

ლედ-განათების სანათები), აღნიშნული პროექტით სარგებელი ნახა, როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე პროექტმა დადებითად იმოქმედა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაზე. დაახლოებით 2000 მდე ბენეფიციარმა მიიღო ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებით სარგებელი. პროექტები განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.

#### **შუალედური შედეგი**

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

### **2.5 საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 03 01)**

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები, აგრეთვე, განხორციელდა საექსპერტო კვლევები და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის/აქტის შესაბამისი სამუშაოები.

#### **შუალედური შედეგი**

- გაუმჯობესდა მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვისა და მართვის ხარისხი;

### **2.6 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის არსებული სკვერებისა და პარკების განახლება, ახლის მოწყობა. სკვერებში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობაში ჯანსაღი გარემოს შექმნას. მგზავრთა თანამედროვე ტიპის მოსაცდელების მოწყობა, რომელიც აუმჯობესებს ქალაქის იერსახესა და უქმნის მოსახლეობას კომფორტულ პირობებს გადაადგილებისთვის. აღნიშნული პროექტებით ისარგებლა დაახლოებით 5000 -მდე ბენეფიციარმა.

1. სოფ. ნაბაკევი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა.
2. ქ. სამტრედიიაში, რესპუბლიკის N8 და N10 ბინებს შორის სკვერის მოწყობა.
3. ქ. სამტრედია, კაკაბაძის N30-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.
4. ქ. სამტრედია, რუსთაველის N4 ბინის წინ სკვერის მოწყობა.
5. ქ. სამტრედია, რუსთაველის N6 ბინის წინ არსებული სკვერის რეაბილიტაცია.
6. ხ.დ.კ.-ს დასახლებაში ურბანული განვითარების და რეკრეაციული სივრცის მოწყობა.
7. ნაჩხატაურის დასახლებაში სკვერის მოწყობა.
8. წერეთლის I ჩიხში და ბახტაძის ქუჩაზე ტრენაჟორების მოწყობა.
9. სოფ. იანეთში ტრენაჟორის მოწყობა.
10. ქ. სამტრედიიაში, წინსვლის, ა. კალაძის, ხვედელიძის, დიდგორის, ფანჯივიძის ქუჩებზე და სოხუმისა და ბახტაძის ქუჩების კვეთაზე ტრენაჟორების მოწყობა.
11. რუსთაველის ქუჩაზე ატრაქციონების მოწყობა.
12. თამარ მეფის ქუჩაზე სკვერის ტერიტორიაზე (ვაგზლის მიმდებარედ) საზ. ტულეტის მოწყობა.
13. ქ. სამტრედიიაში თამარ მეფის ქუჩაზე ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარედ, რუსთაველის ქუჩაზე N16 საცხოვრებელი სახლის წინ, ჭავჭავაძის ქუჩაზე გენო გეგეშიძის ქუჩის კვეთასთან და რუსთაველის ქუჩაზე (რობაქიძის ქუჩის კვეთასთან, გზაგამტარ ხიდთან) მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

#### **შუალედური შედეგი**

- მოსახლეობის ფიზიკური ვარჯიშისათვის ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას.
- გაუმჯობესდა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის დასვენების პირობები და შიცვალა ქალაქის იერსახე.

**2.7 ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 05)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და აშენდა ნაბაკვეის ადმ. ერთეულის სოფ. ჩხენიშში ამბულატორია და მოეწყო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული პროექტით ისარგებლებს თვით ამ სოფლისა და ასევე მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, დაახლოებით 300-მდე ბენეფიციარი.

**შუალედური შედეგი**

- გაუმჯობესდა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირველად დახმარების პირობები.

**2.8 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იყო სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართა სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად. 2022 წელს მუნიციპალიტეტში 14 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა 136 პროექტი, მათ შორისაა 12 სკვერის რეაბილიტაცია, ზოგიერთ მათგანში მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორები. სხვადასხვა სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სპორტულ მოედანს, მოეწყო საფარი, განათება და შემოიღობა ტერიტორია. არსებულ 6 მგზავრთა მოსაცდელს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო განათებები და კეთილმოეწყო მოსაცდელებთან მისასვლელი ტერიტორია. ასევე შემოიღობა სოფლის სასაფლაოები. სოფლის 3 ამბულატორიას ასევე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. გომის საბავშვო ბაღის ეზო შემოიღობა და შეძენილი იქნა შესაბამისი ინვენტარი. მაღალმთიან სოფლებში გამოიცვალა წყალმომარაგების მილები, სულ 6 სოფელში. სოფლის შიდა გზები მოიხრეშა და ზოგიერთ მათგანზე მოეწყო ხიდ-ბოგირები, სულ 21 პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. 10 ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში განხორციელდა გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები. სხვადასხვა სოფლებში 511 მიმართულებაზე მოეწყო და გაიწმინდა სანიაღვრე არხები.

**შუალედური შედეგი:**

- გაუმჯობესდა ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის გარემო პირობები.


**2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)**

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2,222.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.9 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1,610.1 ათასი ლარი მოხმარდა ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას, 487.5 ათასი ლარის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, ხოლო დასუფთავებას მოხმარდა 124.5 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,528.0	2,222.1	87.9
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	1,674.9	1,610.1	96.1
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	495.7	487.5	98.3

03 03	დასუფთავება <sup>2</sup>	357.4	124.5	34.8
-------	--------------------------	-------	-------	------



### 3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს შემადგენლობაში შედის სამი განყოფილება: დასუფთავების, გარე განათების ქსელის მომსახურებისა და სანიაღვრე არხების წმენდის განყოფილებები. განათების განყოფილებაში 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 12000 წერტილისა და მასზედ არსებული გარე განათების ქსელის მომსახურება, ასევე, განხორციელებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა და დანალექის გატანა, კერძოდ სულ ჯამში გაწმენდილი იქნა 34334 გრძ.მ არხი და გატანილი იქნა 775მ<sup>3</sup> დანალექი, რაც შეეხება დასუფთავების განყოფილებას 2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი იქნა 28000 მ<sup>3</sup> საყოფაცხოვრებო ანარჩენები და განთავსებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე.

#### შუალედური შედეგი

- ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

### 3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 02)

2022 წლის განმავლობაში ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ განახორციელა სხვადასხვა სახის სამუშაოები, როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე სოფლებში, კერძოდ:

- ✓ დაირგო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თამარ მეფის, რუსთაველის, ლაშა თევზაძის და მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩებზე) მარადმწვანე დეკორატიული ხეებისა და ბუჩქები.
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატიურად ხორციელდებოდა ხეებისა და ბუჩქების გაკრეჭვა, აგრეთვე გეგმიური გადაბეღვები, გადაბეღილი და დამუშავებულ საშემე მერქნით მომარაგდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღები და სოციალურად დაუცველი ოჯახები.
- ✓ შეეთეთრდა ქალაქის ტერიტორიაზე ხეები, მოითბა მწვანე ბალხის საფარის.
- ✓ განხორციელდა ბარდიურების, ტროტუარების და სასაფარი ბილიკების შეკეთება და კეთილმოწყობა;
- ✓ დამზადდა და განთავსდა სასმელი წყლის ფანტანები.

<sup>2</sup> დასუფთავების პროგრამაში 9 თვის ანალიზიდან გამომდინარე დაიგეგმა სპეც. ტექნიკის შეძენა, რომელზეც ვერ განხორციელდა ტექნიკური პარამეტრის შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება, შესაბამისად აღნიშნულზე ტენდერი არ გამოცხადებულა.

- ✓ რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე, კრავეიშვილის ქუჩაზე განხორციელდა საგზაო ნიშნების მაჩვენებლების დაფების შეღებვა- დამაგრება.
- ✓ წყალასწრეტი არხების შეკეთება განხორციელდა შარტავას და ჭანტურიას ქუჩებზე.
- ✓ მგზავრთა ახალი მოსაცდელების მოწყობის მიზნით, დემონტაჟი ჩაუტარდა ამორტიზირებულ მოსაცდელებს რესპუბლიკის, თ.მეფის ქუჩებზე ძვ. ავტოსდგურის ტერიტორიაზე და ილორში.
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე პარკებსა და სკვერებში განთავსდა, შეკეთდა და კეთილმოეწყო დასასვენებელი სკამები.
- ✓ მოწესრიგდა შინმოუსვლელთა მემორიალების ტერიტორია.
- ✓ შეიღება სამტრედია- ქუთაისის გზაგამტარი ხიდის მოაჯირი.
- ✓ გზების დატბორვის თავიდან აცილების მიზნით ექსკავატორით გაიჭრა და გასუფთავდა რამდენიმე კმ.სიგრძის სანიაღვრე არხები, ქალაქისა და სოფლის ტერიტორიებზე.
- ✓ გაერთიანების ავტომანქანა მაზი 5551 გატანილი იქნა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციებიდან ხის ნასხლავები და არხიდან ამოღებული ნატანი ქალაქის ნაგავსაყრელოზე.
- ✓ მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში გაერთიანების კუთვნილი ექსკავატორ-დამტვირთველით მოხდა მეწყრისაგან დაზიანებული გზების გასუფთავება მოხრეშვა და მოშანდაგება.
- ✓ მოითიბა გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდოს მთაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსის ეზო და მიმდებარე ტერიტორია.
- ✓ პერიოდულად განხორციელდა პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და მწვანე ბალახის საფარის მოთიბვა.
- ✓ 2022 წელს მოეწყო სარეკლამო კედლები, აგრეთვე, მოიხატა საცხოვრებელი კორპუსების და ახლად რეაბირტირებულ სკვერებში არსებული შენობის კედლები .
- ✓ აღდგენილი და მოწერიგებული იქნა სოფელ ახალსოფელში ბორანი მგზავრთა გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად. მებორნებისთვის შეძენილი იქნა სპეციალური ტანსაცმელი, უსაფრთხოების ჟილეტები, რეზინის სპეციალური მაღალყელიანი ფეხსაცმელები, წყლის უსაფრთხოების ტივტივა რგოლები, სამაშველო თოკი 100 მ. ასევე, მოეწყო და შეიღება ბორნის ტექნიკური უსაფრთხოებისთვის მოაჯირები.
- ✓ დამზადდა და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე განთავსდა სხვადასხვა სახის საახალწლო დეკორაციები.

### შუალედური შედეგი

- მოსახლეობას შეექმნა მოწესრიგებული გარემო.

### 3.3 დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03)


საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში. საერთო ჯამში 2022 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნა 250 მიუსაფარი ცხოველი სპეციალიზირებულ თავშესაფარში, სადაც ჩაუტარდათ შესაბამისი მკურნალობა და ლოკაციის ადგილს დაუბრუნდა 227 მიუსაფარი ცხოველი, ხოლო განსაკუთრებით აგრესიული 23 მიუსაფარი ცხოველი დარჩა თავშესაფარში. ზემოთ აღნიშნულმა გარემომებამ უზრუნველყო მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულია ლითონისა და ხის კონსტრუქციის 35 ცალი ახალი საბაღე ურნა, რომლითაც ამოიცვალა ძველი მწყობრიდან გამოსული ურნები.

### 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 4,982.3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 6,254.0 ათასი ლარი, 79.7 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ( ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 3,000.4 ათასი ლარი, ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსებას (დეღეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 571.9 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 250.9 ათასი ლარით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ( ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობას მოხმარდა 1,159.1 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	6,254.0	4,982.3	79.7
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ( ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	3,011.1	3,000.4	99.6
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა <sup>3</sup>	1,103.5	571.9	51.8
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	253.7	250.9	98.9
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ( ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა <sup>4</sup>	1,885.7	1,159.1	61.5



#### 4.1 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ( ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება აერთიანებს 24 ბაგა-ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1300 ბავშვი. 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება, რამაც თითოეულ ბავშვზე დღიურად 3,90 ლარი შეადგინა, სულ კვებაზე და საახალწლო ტკბილეულზე დაიხარჯა 318267 ლარი. ბაგა-ბაღებში დაინერგა NACCP-ის პროგრამა, რაც ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს, გადამზადდა ყველა ბაგა-ბაღის მმართველი, ექთანი მზარეული და მწე. შესაძლებლობის ფარგლებში შეძენილი იქნა 25400 ლარის ინვენტარი და გადამწიფდა მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ბაგა-ბაღში, ნაწილობრივ შერემონტდა #7, #2, კულამის და ნაბაკევის ბაგა ბაღები. ასევე ძალიან დიდი ყურადღება დაეთმო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეზღუდული

<sup>3</sup> ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამაში გათვალისწინებული იყო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნულზე გამარტივებული შესყიდვის მიზნით მიემართა შესყიდვების სააგენტოს და ხელშეკრულება გაფორმდა დეკემბრის თვეში.

<sup>4</sup> სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ( ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის პროგრამაში გათვალისწინებული იყო სოფელ იანეთში ახალი ბაღის მშენებლობა. აღნიშნულ პროექტში შევიდა ცვლილება, რამაც გამოიწვია ვადის გადაწევა.



შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც ბაგა ბაღებში დაემატა სპეც მასწავლებლები. ჩატარდა აღმზრდელების 66 საათიანი ტრენინგ მოდული „აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მისანიჭებლად“.

თებერვლის თვიდან ყველა ბაგა-ბაღში ტარდება აქტივობები შემდეგ თემებზე:

- ✓ „იფიქრე თბილად“ ზამთრის სურათები დახატეს გუაშებით და აპლიკაციით შეიქმნეს ქალაქი.

საგაზაფხულო კვირეული „გაზაფხული და დედა“.

- ✓ „გაზაფხულის მოლოდინში“ , რომელიც სააღმზრდელი ჯგუფებში საგაზაფხულო მზადებას დაეთმო გაზაფხულთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენები, რომელიც ბუნების გამოლვიძებას ასახავდა, „გაზაფხულის ფერების ფანტაზია“, „ყვავილები ჩემს ეზოში“. სასკოლო მზაობის ჯგუფების მონაწილეობით ბაღებში აღინიშნება ნარჩენების გადამუშავებისა და ხის დარგვის საერთოშორისო დღე 18-21 მარტს. აღსაზრდელების და აღმზრდელების ჩართულობით ბაღის ტერიტორიებზე შეაგროვეს ნარჩენები, დაახარისხეს და მათ მიერ დამზადებულ მარკირებულ ურნებში მოათავსეს. დარგეს სხვადასხვა ხისა და ყვავილის ნერგი.
- ✓ პროექტი „თანამედროვე მასწავლებელი“ 23 მარტიდან ჩატარდა. წარმოდგენილი იყო თემები აღმზრდელების მიერ, რომელზეც დაფუძნებულია საბავშვო ბაღის ყოველდღიური რუტინა.
- ✓ შეიქმნა „ჯადოსნური ზღაპრების სამყარო“, თოჯინების თეატრი საბავშვო ბაღებში. „იყო და არა იყო რა...“ ამ სათაურით გაცოცხლდა „წითელქუდა“, „სამი გოჭი“ და „ნაცარქექიას“ გმირები.
- ✓ ბაღის სააღმზრდელი ჯგუფებში შეიქმნა არაერთი სამაგიდო თამაშებისა და შეჯიბრებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო მასალები: „ფოთლები და ჭიამაიები“, „ყვავილები და ფერები“, „ფორმები და ლაბირინთი“, „ზღაპრები და მათემატიკა“.
- ✓ აპრილის თვეში თემით: - „გავუფრთხილდე დედამიწას“ აღინიშნა დედამიწის დღე 22 აპრილს.
- ✓ აგრეთვე შემაჯამებელი აქტივობები „აღდგომის დღე“, საბავშვო ბიბლიიდან მცირე მოთხრობრები.
- ✓ მაისის ბოლოს თემით: - „საქართველო ლამაზი“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“. სასწავლო წელი სასკოლო მზაობის ჯგუფებში გამოსაშვები ღონისძიებით „ჩვენ სკოლაში მივდივართ“ და მათ მიერ დამზადებული სხვადასხვა ტრანსპორტით „მოგზაურობით“ დასრულდა.
- ✓ ოქტომბრის თვეში აღინიშნეს ბარაქიანი შემოდგომის დღეები და დედაენის დღე
- ✓ 15-25 დეკემბერს ბაგა ბაღებში ჩატარდა საახალწლო კარნავალი.

## შუალედური შედეგი

- დაწყებითი კლასის აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური მოსწრება,
- აღმზრდელთა კვალიფიკაციის გაზრდა
- აღსაზრდელთა მოწესრიგებული კვების მენიუ;
- აღსაზრდელთათვის ნაწილობრივ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

## 4.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა ორი სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. საიდანაც დაახლოებით 200-მდე ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი.

1. სსიპ სოფ ჩხენიშის საჯარო სკოლა
2. სსიპ ქალაქ სამტრედიის N2 საჯარო სკოლა (შეწყმული)
3. სოფ. ნაბაკევი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (მიმდინარე)

ჩხენიშის საჯარო სკოლაში მოხდება საკვამური მიწების დემონტაჟი, რეაბილიტირდება სკოლის ფასადი, სპორტული დარბაზი, დერეფანი, კიბის უჯრედები და მოეწყობა ადაპირებული ლიფტი. ხოლო N2 საჯარო სკოლის შერწყმულ სკოლაში მოეწყობა სარინელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება იატაკებს, გარემონტდება საკლასო ოთახები და დერეფანი. სოფ. ნაბაკევი აშენდება თანამედროვე სტანდარტების ახალი საჯარო სკოლა.

## შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების პირობები. შეიქმნება სუფთა და კომფორტული გარემო.

#### 4.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

ა.(ა)ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ააიპ-ს, რომელიც ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით.

არაფორმალური დამატებითი განათლება გახდა ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის. ყველა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის 6-18 წლამდე. შეიქმნა კეთილგანწყობილი გარემო, საქმიანი კავშირები დამყარდა საჯარო სკოლებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობის გეოგრაფიული არეალი, დაინერგა ელექტრონული სერვისების მოხმარება, დამყარდა ურთიერთთანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე მომზადდა ნორჩი გიდები და დამზადდა სამარშუტო რუკები, დაიბეჭდა და გამოიცა ჟურნალი „სამტრედიის მატთან-5“. შემოქმედებითად გაიზარდა საწრეო და საკლუბო მუშაობა, ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა თბილისის ეროვნული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარებულ ფორუმში მემორანდუმის ფარგლებში. აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით მოსწავლე-ახალგაზრდობაში განვითარდა შემოქმედებითობის, კვლევის, საჯარო გამოსვლისა და პრეზენტაციის უნარები. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

#### 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები:

5 თებერვალი წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე - ინტეგრირებული გაკვეთილი, მოსწავლეთა პარლამენტი, წიგნის მოყვარულთა წრე, მოსწავლეთა თეატრი - საბავშვო ბიბლიოთეკა 14სთ.

8 თებერვალი - დავითობა. ჩვენი სახლის სარკმლიდან დანახული „წმ. დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარი“ - ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეთა პრეზენტაციების გამოფენა ტაძრის ეზოში. ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრე - 12სთ.

3 მარტი - „მშვიდობა იყოს მთელს ქვეყანაზე ჩემი ფიქრია დედის ფიქრია“ - ფლაერების დარიგება და ინტერვიუ ქალაქის მასშტაბით.

8 მარტი - პოეზიის საათი თემაზე „გაზაფხული და დედა“.

5 მარტი - „საქებარნი არიან ის მშობლები, რომლებიც მრავალ შვილს შობენ“ - საგალობლების შემსწავლელთა წრეში შეხვედრები პატრიარქის ნათლულებთან.

21 მარტი - 1. ჟურნალისტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი რეპორტაჟი ქალაქიდან. 2. დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვთა საერთაშორისო დღე „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“ - თემატური ფლაერების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე.

22 მარტი - „წარმატება იწყება დღეს“ - შეხვედრა კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან.

24 მარტი - ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს - შეხვედრა წითელ ჯვართან.

2 აპრილი - „წითელი მიხაკი სულ გულზე გებნია თითქოსდა იარა ღვიოდა წითლად“ - მოსწავლეთა პარლამენტი პოეზიის საღამო.

9 აპრილი - „ჩემო სამშობლო, ჩემო ერო, ჩემო ქალაქო უიარაღოს იარაღით როცა გებრძვიან, ეს იმას ნიშნავს ძლიერი ხარ უიარაღოთ“. 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალის მონახულება, თემატური ფლაერების დარიგება,

14 აპრილი - თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტექნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელ ქ-ონ: ლია ქაროსანიძის კონფერენცია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი - მოსწავლეთა პარლამენტი.

15 აპრილი - პროექტის პრეზენტაცია თემაზე „მე რომ ქალაქის მერი ვიყო“ მოსწავლეთა პარლამენტის შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერთან.

15 აპრილი - თემატური საღამო „ნამდვილი ამბავი ომზე“ - ისტორია-მხარეთმცოდნეობისა და საჯარო სკოლების ჩართულობით ჩატარებული ღონისძიება.

21 აპრილი - „დედამიწა ჩვენი საერთო სახლია - მას მოფრთხილება უნდა“ დიალოგი დისკუსია მოსწავლეთა პარლამენტი,

10 მაისი - ქართული ქართველთ რწმენა! ღმერთია ბედისწერა - ლიტერატურული შემეცნებითი საათი.

ნინო ტონიას ლექცია-საუბარი მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი 14სთ.

6 მაისი - დიალოგი შეხვედრა მოძღვართან.

12 მაისი - ანდრია პირველწოდებულის დღე,

14 მაისი - თამარობა.

16 მაისი - შემაჯამებელი მეცადინეობა - დეკანოზი რომანოზ ნინუა.

19 მაისი - „მე ჩემი რაიონის მეგზური ვარ“. რეპორტაჟი მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, მუზეუმების საერთაშორისო დღე,

26 მაისი - „თავისუფალ საქართველოს ღვთისმშობლო მოხედე“ - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია 12სთ.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საბავშვო ლექსების საათი 12სთ. წრეები უმცროსი ასაკი.

10 ივნისი - „ყველაზე წიგნიერი“ ინტელექტუალური თამაში - 14სთ. საჯარო სკოლები მოსწავლეთა პარლამენტი.

28 ივნისი - საანგარიშო კონცერტი. ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება „ორუდილა“. გასვლითი ღონისძიებები, ფესტივალ კონკურსებში მონაწილეობა.

30 ივნისი -საანგარიშო კონცერტი ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი „ჩანგი“.

30 ივნისი - 5 ივლისის ჩათვლით - ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლილეს“ გასვლითი კონცერტები, მონაწილეობა ფესტივალ კონკურსებზე.

ივნისის თვე - ანგარიშს ვაბარებთ მშობლებს წრეების შემაჯამებელი საანგარიშო მეცადინეობები სპეციალურად შეთანხმებული განრიგით.

სექტემბრის თვე - წრეების დაკომპლექტება და საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება და მზადება ღია კარის დღეზე.

10 ოქტომბერი - ღია კარის დღე-დირექცია, წრეები, საჯარო სკოლები.

15 ოქტომბერი - მოგზაურობა სასიტყვეთში. შეხვედრა დიალოგი ქალბატონ ნინო ტონიასთან. იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე 15სთ. საკონფერენციო დარბაზი.

20 ოქტომბერი - საუბრები ნიკო ნიკოლაძეზე - რეპორტაჟი მუზეუმიდან 15სთ. ისტორია მხარეთმცოდნეობისწრე.

ნოემბრის თვე

„ჩანგი“ ხელ-ლი მ. ტკვაცირია 2 ნოემბერი

„ალილო“ ხელ-ლი მადონა კობრეიძე - 2 ნოემბერი

„ლილე“ - 3 ნოემბერი ხელ-ლი გ. თურმანიძე

„მედოლეები“ - 3 ნოემბერი ხელ-ლი ნ. დუნდუა

4 ნოემბერი - ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ორუდილა“, ხელ-ლი ნ. ჭახნაკია.

სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ფანტაზია“ ცეკვა ჩა-ჩა-ჩა ხელი-ლი ქ. ზაქარაძე

12 ნოემბერი - მოგზაურობა სასიტყვეთში. შეხვედრა-დიალოგი ქ-ნ: ნინო ტონიასთან (იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე)

17 ნოემბერი - გალაქტიონობა - ტრადიციული ექსკურსია ჭყვიშში გალაქტიონის სახლ-მუზეუმში.

19 ნოემბერი - „სიკვდილიც საკუთარი ხელით ატარა“ - გალაქტიონია, მას ქონდა უფლება.

ლიტერატურული საღამო

ისტორიის, წიგნის მოყვარულთა წრე და მოსწავლეთა პარლამენტი.

29 ნოემბერი - „ჩემო კარგო ქვეყანავ“ - ი. ჭავჭავაძის 185 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. შემოქმედებითი ჯგუფები და მოსწავლეთა პარლამენტი.

დეკემბრის თვე

18 დეკემბერი - ნ. ნიკოლაძე და სამტრედია. სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

20 დეკემბერი - საახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი - კონცერტი ბავშვთა გაერთიანება „ორუდილა“, შოუ ბალეტი „ფანტაზია“.

24 დეკემბერი - „ლილე“ ქორეოგრაფიული ანსამბლის შემაჯამებელი ღია გაკვეთილი.

25 დეკემბერი - „ორუდილა“ უმცროსი თაობა საახალწლო ზეიმი. „ფანტაზია“ - საახალწლო პერფონმანსი.

26 დეკემბერი - ხალხური სიმღერებისა და საკრავების „ალილო“ და „ჩანგი“-ს საახალწლო კონცერტი.

28 დეკემბერი - „ორუდილა“ უფროსი თაობა. კონცერტი კულტურის ცენტრში.

28 დეკემბერი - საახალწლო კარნავალი - მოსწავლეთა პარლამენტი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზი.

30 დეკემბერი - კულტურის ცენტრში ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები.

## შუალედური შედეგი

- მოზარდთა შემოქმედებითი - საგანმანათლებლო ღონის ამღვლევა.
- მოსწავლე-ახალგაზრდობას გამოუმუშავდა სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრების უნარ-ჩვევები.

- გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა

#### 4.4 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ( ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (იანეთის ბაღი), სამშენებლო და სხვა მცირე სამუშაოები. აღნიშნული პროექტით სარგებელი მიიღო დაახლოებით 300-მდე ბენეფიციარმა.

1. სოფელ იანეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა.
2. სოფ. ტოლების საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები.
3. სოფ. დაბლა გომის საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შეძენა

2022 წელს დაიწყო დასრულების ფაზაშია სოფ. იანეთში 75 აღსაზრდელზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. შენდება ერთ სართულიანი საბავშვო ბაღი, რომელიც სტანდარტების შესაბამისი პირობებით იქნება უზრუნველყოფილი. აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, კეთილმოეწყობა ეზო, სადაც დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონი და სხვა გასართობი ნაგებობები.

#### შუალედური შედეგი

- გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლისა და დასვენების პირობები. შეიქმნა სუფთა და კომფორტული გარემო.


#### 5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 4,467.2 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5,039.2 ათასი ლარისა, რაც გეგმის 88.6 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 2,587.6 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობას - 1,156.7 ათასი ლარი, შპს „სამტრედიის მაცნე“-ს - 83.2 ათასი ლარი, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრს - 47.5 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, მგელთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებას - 327.2 ათასი ლარი, ხოლო - ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსებას - 265.0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,039.2	4,467.2	88.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,045.6	2,587.6	85.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია <sup>5</sup>	1,467.4	1,012.4	69.0
05 01 02	სპორტული სკოლები	1,578.2	1,575.2	99.8
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	116.2	116.0	99.8
05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	244.1	244.0	100.0
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	117.5	117.5	100.0
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	123.3	123.2	99.9

<sup>5</sup> სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის პროგრამაში დაიგეგმა გარდამავალი პროექტების განხორციელება და სატენდერო პირობებიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდა დეკემბრის თვეში.

05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	566.2	565.3	99.8
05 01 02 06	ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	186.9	186.3	99.7
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	224.0	222.9	99.5
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,264.7	1,156.7	91.5
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	625.9	615.6	98.4
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა	182.3	173.1	95.0
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	74.5	74.3	99.7
05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	51.7	51.6	99.8
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	105.6	105.5	99.9
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	73.9	73.7	99.7
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	65.7	65.5	99.7
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	72.2	71.9	99.6
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	539.2	443.0	82.2
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	99.6	98.1	98.5
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	83.7	83.2	99.4
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	47.6	47.5	99.8
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	332.6	327.2	98.4
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	33.1	31.0	93.7
05 05 02	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	299.5	296.2	98.9
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	265.0	265.0	100.0



**5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებულ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს რაიონის ახალგაზრდებმა. რეაბილიტირდა მინი სპორტული მოედნები.

**5.2 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 05 01 01)**

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ.რუსთავში გამართულ საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 23-წლამდელთა შორის გია უღრელიძემ 65კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება და გადაეცა ფულადი ჯილდო.
- კალათბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ხაფავასა და სენსეი მიხეილ ქანთარას იუბილეებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა და გადაეცათ სუვენირები.
- რეზო შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, გამარჯვებულებს გადაეცა ფულადი ჯილდო.
- ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. „ჯვარცმის, მინდორზე“ გაიმართა შეჯიბრი ლელობურთში, გაიცა ფულადი ჯილდო.
- კვირაცხოვლობას ნაბაკევის თემში გაიმართა შეჯიბრი მკლავჭიდასა და ქართულ ჭიდაობაში, გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა სპორტული ღონისძიებები მკლავჭიდასა და ქართულ ჭიდაობაში, ფალავანს გადაეცა ჭედილა, ხოლო გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.
- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საცხენოსნო სპორტული კლუბის იპოდრომზე ჩატარდა დოლი გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.
- 29 მაისს ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ინგლისურ სპორტინგში „სამტრედია 2022“ გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.
- 17 ივნისს სამტრედიის საჭადრაკო კლუბის ყოფილი დირექტორის ბეჟან ჩხაიძის ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა ღია ბლიც-ტურნირი ჭადრაკში.

- 23 ივნისს მსოფლიო ოლიმპიზმის დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტში გაიმართა კვირეული სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ სიმბოლურად სუვენირები.
- მუნიციპალიტეტში გამართული სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე გუნდებისათვის სპორტული ფორმების, თასებისა და მედლების შექმნა.
- ი. ქუთათელაძის სახ. ტურნირი მინი ფეხბურთში და გამარჯვებულებს გადაეცა ფულადი ჯილდო.
- ავტორბოლაში გამარჯვებულთა დაჯილდოვება.
- ა. ქუთათელაძის სახ. მემორიალი კალათბურთში 3x3.
- სამტრედიის გრან-პრი ცხენოსნობაში, გამარჯვებულთა დაჯილდოვება.
- სევერიან თევზაძის სახ. საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულთა დაფინანსება.
- სამოყვარულო ფეხბურთის „მასტერ ლიგის“ იმერეთის რეგიონალურ თამაშებში გამარჯვებული იანეთის გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო.
- უმაღლესი ლიგის მონაწილე სამტრედიის მამაკაცთა ფრენბურთელთა გუნდის ორი წევრისა და მწვრთნელის დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი.
- ფეინთბოლში დაჯილდოვდა გამარჯვებული გუნდი.
- ანზორ მაჩიტაძის სახელობის ტრადიციული მე-6 საჭადრაკო მემორიალი (თასები, მედლები, სიგელები, ფულადი ჯილდო).
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის ფესტივალ „სამტრედია-2022“ მონაწილეებისათვის 50 ცალი სიგელის შექმნა.
- ვაჟა ტერელაძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო.
- ნიკოზის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ დოღში გამარჯვებულთა დაჯილდოვება.
- მ. ქისმარასა და ვ. ხელისუფალის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში.
- 2022 წლის წარმატებული სპორტმენების დაჯილდოვება.

ასევე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტადიონების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. ხდება არსებულის განახლება და ახლის მშენებლობა. არსებულმა პროექტმა გამოიწვია ახალგაზრდა თაობის ჩაბმულობა სპორტის სახეობებში, რაც თავისთავად ხელს უწყობს ჯანსაღი თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეს. პროექტით სარგებლობს დაახლოებით 1200-მდე ბენეფიციარი.

- ქ. სამტრედიაში, თავისუფლებისა და კრავეიშვილების კვეთაზე არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- გამსახურდიას N3 ბინის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.
- ბახტაძისა და კალანდარიშვილის ქუჩის სტადიონის რეაბილიტაცია.
- ჩხეიძის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზის სამუშაოები.
- ქ. სამტრედიაში გალაკტიონის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- ქ. სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე ჩოგბურთის კორტების მოედანზე ხელოვნური საფარის (აკრილის სტანდარტული სისტემით კატეგორია 3-მედიუმი) მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.
- სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე არსებული სპორტული დარბაზის იატაკის სარეაბილიტაციო (დარჩენილი) სამუშაოებისა და ინვენტარით აღჭურვის სამუშაოები.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოხუმის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ქ. სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. N3-ის მიმდებარედ კალათბურთის მოედანზე არსებულ ბეტონის საფარზე მონოლითური ცვეთამდეგი საფარის მოწყობა

### შუალედური შედეგი

- სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, მატერიალურად წახალისებული სხვადასხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენები, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში ჯანსაღი თაობის აღზრდისა და განვითარების პირობები.

### 5.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 26 მაისს სამტრედიაში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში და დაიკავა გუნდური პირველი ადგილი.
- 25-28 აგვისტოსმარიაშვილის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ სამტრედიის „გრანპრის“გათამაშებაში (ცხენბურთი, ისინდი, დოლი) დაიკავა გუნდური პირველი ადგილი.
- ბათუმში გამართულ ღონისძიებაზე დაიკავა პირველი ადგილი.
- ანაკლიაში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში (ცხენბურთი, ისინდი, დოლი) დაიკავა გუნდური პირველი ადგილი. (დოლში პირველი ადგილი დაიკავა ვარდენ კიკაჩიშვილმა. (ცხენი „კრუტოი“)
- სამტრედიაში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა 6 საცხენოსნო კლუბი (სამტრედია, ზუგდიდი, ახმეტა, ბათუმი, ხონი, ჭალადიდი - 40 ცხენოსანი), რომელსაც ესწრებოდა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონებიდან ჩამოსული მაყურებელი - დაახლოებით 2000 კაცი.

კლუბში ყოველდღიურად მოდის ბევრი ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები ცხენოსნობის შესასწავლად.

**შუალედური შედეგი**

- ცხენისნობის ქართული ეროვნული სახეობების პოპულარიზაცია.
- უფრო მეტი ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა ცხენოსნობაში.

**5.4 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02 02)**

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭადრაკი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, კარატე, კიკბოქსინგი) ჩატარებულ რაიონულ, საქალაქთაშორისო და საზღვარგარეთ ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს კომპლექსური სპორტული სკოლის სპორტსმენებმა.

N	თარიღი	სპორტღონისძიების დასახელება	მონაწილე თა რაოდენობა	სპ.ღონისძ ხარჯი	მივლინების ხარჯი	მიღწევა
1	1	ფეხბურთი სულ დაიხარჯა: 5268 ლარი				
2		იმერეთის ღია ჩემპიონატი	17	4,318.00	194.00	დაიკავეს მე-2 ადგილი
3	17.11.2022	სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის 2022 წლის ტურნირი	18	702.00	54.00	დაიკავეს 1 - ადგილი
4	2	მძლეოსნობა სულ დაიხარჯა : 5810 ლარი				
5	18.03 - 21.03.2022	საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში	6	1,050.00	176.00	დაიკავეს 1 და მე-2 ადგილები
6	27.05 - 30.05.2022	საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი	4	700.00	175	დაიკავეს 1 და მე-2 ადგილები
7	13.05.- 15.05.2022	საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ასაკობრივი	6	810.00	135	დაიკავეს 1 - ადგილი
8	24.60- 27.06.2022	საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი	5	700.00	175	დაიკავეს მე-3 ადგილი
9	11.11 - 13.11.2022	ღია ახალგაზრდული ჩემპიონატი	3	466.00	200	დაიკავე 1 და მე-3 ადგილები
10	18.02 - 21.02.2022	საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი	6	1,050.00	175	დაიკავეს მე-3 ადგილი
11	3	კარატე დაიხარჯა სულ: 4080 ლარი				
13	13.05- 14.05.2022	კლუბ ჩემპიონთა აკადემიის თასი	6	360.00	60	დაიკავეს 1-2-3- ადგილები



14	17.06 - 18.06.2022	აჭარის ღია ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში	8	632.00	79	დაიკავეს მე-3 ადგილი
15	01.07 - 02.07.2022	საქართვე. ღია ჩემპიონატი ბავშვთა და მოზარდთა შორის	8	632.00	79	დაიკავეს მე-3 ადგილი
16	22.07 - 25.07.2022	საერთ. ტურნირი კავკასიის მეორე ღია თასი	11	1,749.00	159	დაიკავეს მე-3 ადგილი
17	25.11- 26.11.2022	საერთ. ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში	8	640.00	110	დაიკავეს მე-2 და მე-3
18		კარატე მივლინება ქვეყნის გარეთ სულ დაიხარჯა:15146ლ.98თ				
19	20.05 - 23.05.2022	მეექ. საერთაშორისო ჩემპ. კიოკუშინკაი კარატეში სომხ. რესპ	6		3583ლ.44თ	დაიკავეს 1-2 ადგილები
20	07.10 - 11.10.2022	ესპანეთი. ევროპის ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში	1		5530ლ.20თ	დაიკავა მე- 4 ადგილი
21	06.09 - 13.09.2022	უნგრეთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯუშიტესა და კატას დივიზ.	1		4224ლ.34თ	მე- 3 ადგილი
22	11.11- 13.11.202	საერთ. შევრე ჩემპიონა კონტაქტურ კარატეში თურ	4		1809ლ	დაიკავეს 2 -3
23	4	კიკბოქსინგი სულ დაიხარჯა : 4020 ლარი				
24	03.02 - 06.02.2022	რუსთავის მერიის თასი	10	1,750.00	175	დაიკავეს 1-2-3- ადგილები
25	13.10 - 16.10.2022	საქართველოს 29-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში	10	1,850.00	245	დაიკავეს 1-2 ადგილები
26	5	კალათბურთი სულ დაიხარჯა :769 ლარი				
27	09.04 .2022	9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღ. ღია ტურნირი	10	230.00	23	დაიკავეს მე-2 ადგილი
28	01.06 - 02.06.2022	იმერეთის დივიზიონთა საკვალიფიკაციო თამაშები	12	504.00	12	
29	6	ფრენბურთში სულ დაიხარჯა : 19934 ლარი				
30	24.03- 27.03.2022	საქართველი პირველი ლიგის ჩემპიონატი (ვაჟები)	12	2,160.00	180	დაიკავეს მე-2 ადგილი
31	05.05 - 08.05.2022	საქართველი პირველი ლიგის ჩემპიონატი (ვაჟები)	12	2,280.00	180	გადავიდნენ უმაღ. ლიგაში
32	16.06- 19.06.2022	საქართველი ასაკობრივი ჩემპიონატი (ვაჟები)	10	1,740.00	174	დაიკავეს 1 ადგილი
33	03.07 - 08.07.2022	აჭარის ღია ჩემპიონატი საპლიაჟო ფრენბურთში	12	3,240.00	270	დაიკავეს 1 ადგილი
34	14.04- 17.04.2022	საქართველი პირველი ლიგის ჩემპიონატი (ქალები)	10	1,900.00	190	
35	21.10- 23.10.2022	საქართველი ასაკობრივი ჩემპიონატი	6	870.00	230	დაიკავეს მე-3 ადგილი
36	11.02 - 14.02.2022	თოვლის ფრენბურთი ეროვნული ჩემპიონატი (ვაჟები)	4	1,000.00	250	დაიკავეს მე-3 ადგილი
37	29.09 - 02.10.2022	საქართველი ქვიშის ფრენბურთის ეროვნული ჩემპიონატი	4	1,000.00	200	
38	27.11- 30.11.2022	საქართველი 31-ე ეროვნული ჩემპიონატი	14	3,920.00	340	
39	7	ჭადრაკი სულ დაიხარჯა : 22100 ლარი				
40	12.01 - 18.01.2022	იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი	12	84.00	1764	დაიკავეს 1-2-3- ადგილები

41	12.02-19.02.2022	თბილისის ღია ჩემპიონატი	6	670.00	2010	დაიკავეს მე-2 ადგილი
42	02.04-09.04.2022	იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი	18	84.00	2310	დაიკავეს 1-2-3-ადგილები
43	13.04 - 21.04.2022	იმერეთის ჩემპიონატი 8 წლამდე	10	1,880.00	108	დაიკავეს მე-4 ადგილი
44	26.05-04.06.2022	საქართველო ჩემპ. 8- 12 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის	6	1,350.00	830	
45	05.05-14.05.2022	საქართველო ჩემპ. 10-16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის	4	1,660.00	415	მოხვდნენ ათეულში
46	27.06-03.07.2022	იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი	12	1,764.00	84	დაიკავეს მე-3 ადგილი
47	15.07 - 24.07.2022	ფოთის XV საერთ. საჭადრაკო ფესტ. ნანა ალექსანდრიას თასი	10	4,340.00	868	დაიკავეს მე-3 ადგილი
48	14.08 - 21.08.2022	საჭადრაკო ფესტივალი შავი ზღვის თასი	4	1,416.00	354	დაიკავეს მე-3 ადგილი
49	01.10 - 02.10.2022	ჯემალ მახათაძის მემორიალი	16	864.00	108	დაიკავეს 1 და მე-3 ადგილები

**შუალედური შედეგი**

- ახალგაზრდებისთვის სპორტულ სექტორებში ჩართულობა, სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა , სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.
- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა, ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

**5.5 ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" (პროგრამული კოდი 05 01 02 03)**

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. 2022 წელს ააიპ საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“ წარმოდგენილი იყო ფრენბურთელ ქალთა გუნდით „ჯიკო“, რომელიც 1999 წლიდან მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. გუნდი წარმოდგენილია ძირითადად 10 მოთამაშით. გუნდს ემსახურებოდა ორი მწვრთნელი და ექიმი.

ფრენბურთელ ქალთა გუნდმა „ჯიკო“-მ 2022 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს 2021-2022 წლების 30-ე ეროვნული ჩემპიონატის II-III და ფინალურ ტურებში, სადაც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, საქართველოს ევროპული უნივერსიტეტის და ბოლნისის გუნდები. „ჯიკო“-მ წარმატებით იასპარეზა, დაუმარცხებლად განვლო ჩემპიონატი და მეთერთმეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

2022 წელს „ჯიკო“-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში ჩატარებულ საპლაჟო ფრენბურთის ტურნირში და გამარჯვებულებმა ტურნირის მთავარი პრიზი „შავი ზღვის ვარსკვლავები-2022“ მოიპოვეს.

პროგრამის მოთხოვნათა კვალობაზე კლუბი „ჯიკო“ სისტემატიურად აწოდებდა პერსპექტიულ მოთამაშეებს როგორც ეროვნულ, ასევე ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს.

**შუალედური შედეგი**

- სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა, ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

**5.6 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 04)**

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო" ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.

ააიპ ხელბურთელთა კლუბი სამტრედია, სამუშაო გეგმის თანახმად 2022 წელს მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საქართველოს 32 და 33 ეროვნულ ჩემპიონატში, ეროვნულ ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავეს. სხვადასხვა ასაკობრვ ახალგაზრდულ ჩემპიონატებში როგორც ვაჟთა ისე გოგონათა შორის, წარმატებით იასპარეზეს და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს 16 წლამდე ვაჟთა გუნდმა, ქ. წყალტუბოში - როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში(მე-2 ადგილი) და ხელვაჩაურში ომარ

ბოლქვადის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში(მე-2 ადგილი). სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის დეპუტატების ხელბურთელთა ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-18 საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში.(1 ადგილი) რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა გუნდებმა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხელბურთის ეროვნულ ფედერაციის თანამშრომლობით განხორციელდა სასკოლო ხელბურთის პროგრამის ინტეგრირების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით კლუბი 2022 წლის 17 დეკემბერს ჩაატარა სასკოლო ხელბურთის ფესტივალი - „ხელბურთი ყველასათვის“ სამტრედიის საჯარო სკოლებს შორის და გამოავლინა ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც ჩაირიცხნენ კლუბის გუნდში.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებით ასპარეზობს ჩვენი კლუბის ოთხი მოთამაშე: მალხაზ ადამია, გიორგი აფრიდონიძე, ნაზიმ ალიევი და ვახტანგ ხელისუფალი. მათ საუკეთესო შედეგები აჩვენეს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ EHF-ის ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის შესარჩევი თამაშებში, ისრაელის ქალაქ თელ-ავივში ევროპის ხელბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ევროპის 18 წლამდელთა ჩემპიონატზე და კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში საქართველოს 18 წლამდე ნაკრები IHF Triphy-ს ჩემპიონი გახდა, რომლის ზომბარდირად დასახელდა კლუბის სპორტსმენი ვახტანგ ხელისუფალი.

N	თარიღი	სპორტლონისძიების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა	სკ.ლონისმ ხარჯი	მივლინებიდან ხარჯი
1	24-25 თებერვალი	2006-07 წწ. დაბ. გოგონათა ჩემპიონატი, ქ. ტყიბული	18	1 178,00	
2	2-4 მარტი	2008-09 წწ. დაბ. გოგონათა ახალგაზ. ჩემპიონატი, ქ.თბილისი	19	2 320,00	435
3	12-13 მარტი	2006-07 წწ. დაბ. ვაჟთა ახალგაზ. ჩემპიონატი, ქ.სენაკი	19	874,00	
4	18-20 მარტი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. თბილისი	19	2 320,00	435
5	24-27 მარტი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. თბილისი	19	3 040,00	570
6	25-26 მარტი	2008-09 წწ. დაბ. გოგონათა ახალგაზ. ჩემპიონატი, ქ.სენაკი	17	782,00	
7	3 აპრილი	2006-07 წწ. დაბ. ვაჟთა ახალგაზ. ჩემპიონატი, ქ.თბილისი	19	880,00	165
8	4-6 აპრილი	2006-07 წწ. დაბ. გოგონათა ჩემპიონატი, ქ. ტყიბული	19	1 311,00	
9	3-4 მაისი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. ქუთაისი	19	798,00	
10	8 მაისი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. თბილისი	19	935,00	110
11	11-15 მაისი	2006-07 წწ. დაბ. გოგონათა და ვაჟთა ახალგაზ. ჩემპ. თბილისი	36	5 360,00	805
13	28 მაისი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. თბილისი	19	880,00	165
14	31 მაისი -3 ივნისი	2006-07 წწ. დაბ. ვაჟთა ახალგაზ. ჩემპიონატი, ქ.თბილისი	18	2 920,00	470
15	3-5 ივნისი	საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ. თბილისი	18	2 110,00	425
16	6-8 ივლისი	ომარ ბოლქვადის ხსოვნის რეს. ტურ. 2005-2007 წ.წ. ვაჟების ხელვაჩაური	16	2 064,00	
17	26-28 სექტემბერი	თბილისის ღია პირველობა ქვიშის ხელბურთში	13	1 885,00	
18	30 სექტ.- 2 ოქტომბერი	საქართველოს 33-ე ეროვნული ჩემპიონატი, ქ.თბილისი	19	2 320,00	435
19	8-9 ოქტომბერი	2008-09 წწ. დაბ. ვაჟთა და გოგონათა ახალგაზ. ჩემპიონატი, სენაკი	39	1 656,00	228
20	16 ოქტომბერი	ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფ. თამაში ქ.თბილისი			350

2	28-30	საქართველოს 33-ე ეროვნული	19	2 320,00	570
1	ოქტომბერი	ჩემპიონატი,ქ.თბილისი			
2	5-6	2008-09 წწ. დაბ. ვაჟთა და გოგონათა	35	1 472,00	228
2	ნოემბერი	ახალ.ჩემპიონატი,სენაკი			
2	25-27	2008-09 წწ. დაბ. გოგონათა	16	736,00	
3	ნოემბერი	ახალ.ჩემპიონატი,სენაკი			
2	2-4	საქართველოს 33-ე ეროვნული	16	2 320,00	
4	დეკემბერი	ჩემპიონატი,ქ.თბილისი			
2	17	სასკოლო ფესტივალი -ხელბურთი	სიგელები	90,00	
5	დეკემბერი	ყველასათვის			
2	17	სასკოლო ფესტივალი -ხელბურთი	თასები	150,00	
6	დეკემბერი	ყველასათვის			
2	24-25	როინ მეტრეველისად მიძღვნილი	13	650,00	
7	დეკემბერი	საერთაშორისო ტურ-რი			
		სულ ჯამი:		41 371,00	5391

### შუალედური შედეგი

- კლუბმა 2022 წელს შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მოახდინა სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა, ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

### 5.7 შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალადის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით.

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ს ბაზაზე შექმნილია მოზარდ ფეხბურთელთა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდები, რომელთაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი, კვალიფიცირებული მწვრთნელები. ნორჩი ფეხბურთელები ჩართულნი არიან ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებებში. გააჩნიათ გარკვეული მიღწევები. რეგულარულ ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს 2009, 2010, 2011 და 2012 წელს დაბადებულმა ნორჩმა ფეხბურთელებმა. კერძოდ: იმერეთის 2022 წლის ღია ჩემპიონატში გივი ნოდის სახელობის თასზე, რომელიც ჩატარდა 17,04.2022-დან 17,11.2022-მდე, მონაწილეობა მიიღეს 2009 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა, მოიპოვეს გარკვეული წარმატებები. 2022 წლის 16,04-დან 04,12 მდე ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ჭაბუკთა გათამაშების ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს და სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდნენ 2011 და 2012 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები. 16,04.2022- 19,11.2022 ჩატარდა იმერეთის 2022 წლის ღია ჩემპიონატი გარი სორდიას სახელობის თასზე 2010 წელს დაბადებულთა მონაწილეობით. 25,11.2022- 29,11,2022 ჩატარდა ვლადიმერ შელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქ. ქუთაისში, სადაც იასპარეხეს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ასევე 2012 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა, ისინი გავიდნენ ჯგუფური ეტაპიდან და ითამაშეს ტურნირის ნახევარფინალში.

2022 წლის ყველაზე წარმატებული ფეხბურთელები არიან 2013 წელს დაბადებული სპორტსმენები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ორ საფეხბურთო ტურნირზე, 18,11.2022- 20,11.2022 შპს „სპორტული კომპლექსი-

სამტრედია"-ს მიერ ორგანიზებულ ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირში „შემოდგომის თასი-2022“, სადაც მოიპოვეს პირველი ადგილი და დაჯილდოვდნენ ტიტულებით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველი და ტურნირის საუკეთესო ტექნიკური ფეხბურთელი.

16,17, და 18 დეკემბერს ჩატარდა ბათუმის „ბათუსი“-ს მიერ ორგანიზებული ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი „ბათუსის თასი-2022“, სადაც 2013 წელს დაბადებულმა ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს მეორე საპრიზო ადგილი და ერთერთმა სპორტსმენმა მოიპოვა საუკეთესო ნახევარმცველის ტიტული.

ნორჩი ფეხბურთელები 2022 წლის ზაფხულში იმყოფებოდნენ საწვრთნელ შეკრებაზე ქალაქ ქობულეთში. შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს საკუთრებაშია გამართული მიკროავტობუსი, რომელიც ემსახურება ფეხბურთელთა უსაფრთხო და ხარისხიან მგზავრობას სპორტულ ღონისძიებებში. ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან საუკეთესო სპორტული ტანსაცმლით და ინვენტარით.

შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები ჩართულნი არიან ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე მიმდინარე საფეხბურთო მატჩების და სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებების გამართულად და მოწესრიგებულად წარმართვაში, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს.

საცურაო აუზი, რომლის დროებითი მოსარგებლევ არის შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“ ძირითადად დატვირთულია მაისის თვიდან სექტემბრის თვის ჩათვლით, აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, არის ცურვის სპეციალისტები და მასაჟისტი, რომელიც ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. 2022 წელს საცურაო აუზის ფუნქციონირება შეფეხდა, რადგანაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. მომავალში შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მიზანია, გაიზარდოს საცურაო აუზის მუშაობის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით, შეიქმნას ცურვის შემსწავლელი წრეები, რათა უფრო მეტი ყურედღება მიექცეს ბავშვთა და მოზარდთა ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში.

### **შუალედური შედეგი**

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სხვადასხვა სპორტულ საქმიანობაში, რათა გაიზარდოს ჯანსაღი თაობები და მიაღწიონ წარმატებებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში. მომავალი სპორტსმენებისთვის მისაღები გარემოს შექმნა. ასევე მოყვარულთა და რიგითი მოქალაქეებისთვის საცურაო აუზით მომახურება.

### **5.8 ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი" (პროგრამული კოდი 05 01 02 06)**

საანგარიშო წელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „რაგბის კლუბი ფენიქსმა" საქმიანობა წარმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვაჟებს შორის, მათ შორის, მოზარდ თაობაში, რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მისი დამკვიდრების მიზნით.

2021 წელს „რაგბის კლუბი ფენიქსში" დაკომპლექტდა რეგიონალური ლიგის გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ორგანიზებულ 2021-2022 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის.

2022 წლის აგვისტოდან „რაგბის კლუბი ფენიქსი" მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ორგანიზებულ 2022-2023 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის.

„რაგბის კლუბი ფენიქსში" დაკომპლექტდა ბავშვთა გუნდი. „რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს მიერ ორგანიზებულ საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

„რაგბის კლუბი ფენიქსში" ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, რომლებიც ჩაენაცვლებიან ამჟამად რეგიონალური ლიგის გუნდის მოთამაშეებს.

კავშირი“-ს მიერ საბავშვო საფესტივალო ლიგის ჩატარების შესახებ ნებართვის შემდეგ, „რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ბავშვთა გუნდმა 2022 წელს მონაწილეობა მიიღო საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

ფუნქციონირება უზრუნველყოფს 2 ლიგიდან 1 ლიგაში გადასვლას და ასევე საფესტივალო ბავშვების განვითარებას ვაჟებს შორის ასაკების და წლების მიხედვით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ გაერთიანებულიყვნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, მონაწილეობა მიეღოს საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში. მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც. სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელ მასწავლებლებს მიეცათ საშუალება ნორმალურად განეხორციელებინათ საწვრთნელი პროცესი.

ღონისძიების დასახელება	გაწეული ხარჯი (კვება)	გაწეული ხარჯი (ტრანსპორტირება)	ხარჯი ჯამში	მონაწილე თა რ-ბა	შედეგები
სპორტული ღონისძიება. 29 იანვარი 2022 წელი. ქალაქი ქუთაისი.	360,00	90	450,00	24	გადიდლო
სპორტული ღონისძიება. 25 თებერვალი 2022 წელი. ქალაქი ვანი.	360,00	70	430,00	24	მოგება 22 :15
სპორტული ღონისძიება. 05 მარტი 2022 წელი. ქალაქი ვანი.	360,00	70	430,00	24	მოგება 19:17
სპორტული ღონისძიება. ქალაქი ქუთაისი. 11 მარტი	360,00	135	495,00	24	წაგება 0:55
სპორტული ღონისძიება. 20 მარტი. ქალაქი ვანი	360,00	105	465,00	24	წაგება 3:43
სპორტული ღონისძიება. 27 მარტი. ქალაქი ჭიათურა	360,00	390	750,00	24	წაგება 0:54
სპორტული ღონისძიება (საბავშვო ფესტივალი). 26 მარტი. ქალაქი ზუგდიდი	225,00	225	450,00	15	მოგება
სპორტული ღონისძიება. 03 აპრილი. ქალაქი თერჯოლა	360,00	225	585,00	24	მოგება
სპორტული ღონისძიება. 10 აპრილი. ქალაქი ფოთი	345,00	225	570,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. ქალაქი ვანი. 22 აპრილი.	360,00	105	465,00	24	წაგება 0:5
სპორტული ღონისძიება. საბავშვო ფესტივალი. ქ. ჭიათურა. 14 მაისი	345,00	390	735,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. საბავშვო ფესტივალი. ქ. ტყიბული. 15 მაისი	345,00	270	615,00	23	ფრე
სპორტული ღონისძიება. 28 მაისი. ქ. ქობულეთი. საბავშვო ფესტივალი	345,00	306	651,00	23	მოგება
სპორტული მომსახურება. 11 ივნისი. დაბა ჩაქვი. საბავშვო ფესტივალი	345,00	337,5	682,50	23	წაგება
სპორტული ღონისძიება. დაბა ჩაქვი. 12 ივნისი. საბავშვო ფესტივალი	345,00	337,5	682,50	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. 20 აგვისტო. ჩოხატაური	390,00	97,5	487,50	26	მოგება 32:0
სპორტული ღონისძიება. 10 სექტემბერი. ქ. ქუთაისი	390,00	135	525,00	26	წაგება 0:73
სპორტული ღონისძიება. 16 სექტემბერი ქ. ფოთი	345,00	225	570,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. 1 ოქტომბერი. ჩოხატაური	375,00	97,5	472,50	25	მოგება 31:15
სპ. ღონისძიება. ჩოხატაური 01 ოქტომბერი. (პატარები)	330,00	97,5	427,50	22	მოგება

სპორტული ღონისძიება. წყალტუბო. 8 ოქტომბერი	345,00	135	480,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. ქ. ბათუმი. 22 ოქტომბერი	345,00	450	795,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. 5 ნოემბერი. ქ. ფოთი	345,00	225	570,00	23	მოგება
სპორტული ღონისძიება. 13 ნოემბერი. ქ. ზუგდიდი	375,00	225	600,00	25	მოგება 43:0
სპორტული ღონისძიება. 19 ნოემბერი. ქ. ზუგდიდი	600,00	0	600,00	40	მოგება
სპორტული ღონისძიება. 10 დეკემბერი. ოზურგეთი	600,00	0	600,00	40	მოგება
სპორტული ღონისძიება. 11 დეკემბერი. ჩოხატაური	585,00	0	585,00	39	მოგება

### შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ განხორციელებულმა სუბსიდიამ და დაწესებული შეღავათების არსებობამ სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად უზრუნველყო სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელ განვითარება, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმა სპორტში.

### 5.9 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. კლუბში ფუნქციონირებს ჭიდაობის 5 სახეობა: თავისუფალი, ბერძნულ/რომაული, ძიუდო, სამბო და ქართული. რომელშიც გაწევრიანებულია 240 მდე მოსწავლე-სპორტსმენი, რომელთა საწვრთნელ-აღმზრდელობით საქმიანობას უზრუნველყოფს 17 მწვრთნელ-მასწავლებელი. მათ შორის 6 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

საჭიდაო კლუბ „ფალავანში“ აღზრდილმა სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის 50 მდე სამხარეო, რესპუბლიკურ და საერაშორისო ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სახეობების შესაბამისად 20 მდე საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეხეს და შესაბამისად დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები. რომელთა შორის მოპოვებული წარმატებიდან გამომდინარე კლუბს ჰყავს 15 საქართველოს ნაკრების წევრი, ასევე ბ/რომაულ ჭიდაობაში 2022 წელს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მფლობელი, თ/ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის მე-2 და მე-3 პრიზიორი, თ/ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მე-3 პრიზიორი, ჭიდაობა სამბოში დიდებს შორის ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი.

N	თარიღი	სპორტღონისძიების დასახელება	მონაწილე სპორტსმენ. და მწვრთ. რაოდენობა	სპ.ღონისძ ხარჯი	მივლინებიდან ხარჯი	მიღწეული ადგილები
	2022 წელი	სულ გაწეული ხარჯი		32853	13339	
		<b>თავისუფალი ჭიდაობა</b>				
1	29-31 იანვარი	საქართველოს პირველობა 23წლამდელთა შორის	13	1551	282	1-IIადგ, 1-IIIადგ.
2	25-27 თებერვალი	ბ.ბარამიდის და ო.შოშიტაიშვილის ხსოვნის ტურნირი თ/ჭიდაობაში	10	1080	270	3- IIIადგ.
3	3-5 აპრილი	საქ.პირველობა 17წ შორის თ/ჭიდაობაში	15	1677	258	-----
4	5-7 აპრილი	გ.ხენჩიგაშვილის სახ ტურნირი	7	810	135	1- IIადგ, 3-

		უმცროს ასაკში				IIIადგ,
5	12-14აპრილი	საქ.პირველობა 17წ შორის თ/ჭიდაობაში	15	2145	330	2- Iადგ, 1- IIIადგ,
6	29აპრილი 1მაისი	საქ.პირველობა 15წ შორის თ/ჭიდაობაში	16	1666	238	1- IIIადგ,
7	17-19მაისი	მ.ფერიაშვილისსახ ტურნირი 2007- 08წწ დაბ შორის	11	1593	354	1- Iადგ, 2- IIIადგ,
8	3-5ივნისი	ეზანოიძისა და გურგენიძის სახ ტურნირი თ/ჭიდაობაში	17	855	114	1- Iადგ, 1- IIადგ,2-III
9	10-12ივნისი	წოწონავას ხსოვნის რესპ. ტურნირი 2009-12წწ დაბ შორის	20	918	102	1- Iადგ, 2- IIIადგ,
10	22-24ივლისი	გობეჯიშვილის რესპ ტურნირი ახალგაზრდებში	5	540	137	2- IIIადგ,
11	23-25ექტემბერი	ნ.ბეკურაშვილის 12-ე ტურნირი 2006- 07წწ დაბად. შორის	12	1450	290	1- Iადგ, 1- IIადგ,
12	7-9 ოქტომბერი	მ.დობტურაშვილისა და ზ.შეყილაძის ხსოვნის ტურნირი 2008-12წწ	22	1020	102	2- IIIადგ,
13	29-31 ოქტომბერი	ა.მაისურაძისა და შ.კიკაბიძის ხსოვნის ტურნირი 2006-08წწ	10	1160	380	1- IIადგ,
14	12-14ნოემბერი	ნ.სხირელის ხსოვნის ტურნირი 2003- 05წწ დაბ შორის	11	1305	380	1- IIადგ,2- IIIადგ,
15	22-23 ნოემბერი	დობორჯგინიძის სახელობის რესპ.ტურნირი.2008-2012 წწ. დაბ.	18	608	136	5- Iადგ, 4- IIადგ,3- IIIადგ,
16	18-20ნოემბერი	ბოგდანოვისა და გობეჯიშვილის ხსოვნის ტურნირი 2010-13წწ	10	456	204	1- Iადგ, 1- IIადგ,2- IIIადგ,
17	2-4დეკემბერი	გ.სადარაძის რესპ ტურნირი 2010-13წწ დაბ შორის	9	959	364	1- IIIადგ,
18	9-11დეკემბერი	ზ.ბერიაშვილის სახ საერთ ტურნირი 2006-07წწ დაბ შორის	9	1015	380	1- Iადგ,
19	16-18დეკემბერი	ვ.კვინიკაძის რესპ ტურნირი 2008-13წწ დაბ შორის	9	903	348	1- IIადგ,2- IIIადგ,
20	25-27დეკემბერი	ფ.გაგუასა და გ.გოგიჩაიშვილის რესპ.ტურნირი 2009-13წ დაბ	2	129	174	1- IIIადგ,
				<b>21840</b>	<b>4978</b>	
		<b>ბერძნულ რომაული ჭიდაობა</b>				
1	31იანვარი 2თებერვალი	თ.ყაზარაშვილის 23-ე რესპ.ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში უმცრ.ასაკ.ჭაბუკ	2	141	141	---
2	1-2 აპრილი	საქ.პირველობა 17წლამდელთა შორის ბ/რ ჭიდაობაში	2	129	129	---
3	14-16აპრილი	საქ.პირველობა 20წლამდელთა შორის ბ/რ ჭიდაობაში	2	165	165	---
4	27-29აპრილი	საქ პირველობა 15წლამდელთა შორის	3	238	119	---
5	4-6ნოემბერი	ლ.შვავაძის ხსოვნის საერთ ტურნირი უმცროსი ასაკი	4	387	174	
6	22-25დეკემბერი	საქ.ჩემპიონატი დიდები	2	174	234	1- IIადგ,
				<b>1234</b>	<b>962</b>	
		<b>ძიუდო</b>				
1	4-6 თებერვალი	საქ. ჩემპიონატი სალიცენზიო ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებში	6	295	59	1- IIადგ,
2	18-20 თებერვალი	საქ.პირველობა ძიუდოშიჭაბუკებში	5	540	135	2- IIIადგ,
3	25-27თებერვალი	საქ.ჩემპიონატი 2დონე ძიუდოში დიდები	4	405	135	---
4	3-5მარტი	საქ.ჩემპ.დას საქართველო ზიუდოში 2002-04წწ დაბ შორის	5	210	42	2- IIIადგ,
5	12-13მარტი	საქ.პირველობა ძიუდოში ქვეჭიდაში 2006-07-08წწ დაბ შორის	5	360	90	---



6	18-20 მარტი	საქ.ჩემპ ძიუდოში ახალგაზრდებში	7	675	270	---
7	8-10 აპრილი	საქ.ჩემპ ძიუდოში 2007-08წწ დაბ შორის	9	1160	145	1- IIIადგ,
8	16-17აპრილი	ქარქაშაძის ხსოვნის ტურნირი 2009-2012წწ დაბ შორის	7	240	40	1- Iადგ, 1- IIადგ,1- IIIადგ
9	12მაისი	თ.კალმაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში	10	243	27	---
10	28-29მაისი	მეშახტეთა ხსოვნის ტურნირი 2009-12წწ დაბ სპ შორის	7	240	40	1- Iადგ, 2- IIIადგ
11	3-5ივნისი	აბაშიძის ხსოვნის ტურნირი 2008-11წწ დაბ შორის	6	255	51	---
12	10-11ივნისი	მორგომიას სახ ტურნირი 2010-12წწ დაბ შორის	6	200	40	2- IIადგ,2- IIIადგ
13	17სექტემბერი	აბაშის ღია პირველობა ძიუდოში 2008-12წწ დაბ შორის	11	210	21	---
14	30სექტემბერი 2ოქტომბერი	საქ.ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრი 2006-08წწ	4	435	145	1- IIადგ,
15	23ოქტომბერი	ზესტაფინის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი 2010-11წწ დაბ შორის	11	250	40	4-IIIადგ
16	28-30ოქტომბერი	ფოთის მერიის თასი 2008-12წწ დაბ შორის	7	330	100	1- IIადგ,2- IIIადგ
17	5-6ნოემბერი	ლ.ზურაბიანის ხსოვნის ტურნირი 2010-13წწ დაბ შორის	7	240	70	2-IIIადგ
18	10-11დეკემბერი	რესპ.ტურნირი კოლხეთის თასი 2022 2010-13წწ დაბ.შორის	5	176	74	---
19	18-20დეკემბერი	დ.ხახალიაშვილისა და აკ.კობორძალიძის ტურნირი 2006-08წწ დაბ	6	255	96	1- IIადგ,
20	28-30დეკემბერი	შ.ჩოჩიშვილის სახ საქ.ჩემპიონატი დიდები	7	725	380	1- Iადგ,
				<b>7444</b>	<b>2000</b>	
		<b>სამბო</b>				
1	11-13 თებერვალი	საქ.2022წ პირველობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში	8	945	135	---
2	15-19სექტემბერი	ევროპის ჩემპიონატი სამბოში ქ.ნოვისადი	1		4850	1-IIIადგ
3	1-2 დეკემბერი	სარდანაძის სახ საერთო ტურნირი 2003-04წწ დაბ შორის	8	252	66	1- Iადგ,
4	16-17დეკემბერი	საქ.ჩემპიონატი დიდებში	6	500	130	1- Iადგ,2- IIIადგ
				<b>1697</b>	<b>5181</b>	
		<b>ქართული ჭიდაობა</b>				
1	28-20მაისი	კ.ქვაქრიანის სახ ტურნირი ქართულ/ჭიდაობაში 18წ შორის	7	216	36	---
2	ნაგვისტო	ნ.შერაზადიშვილის ტურნირი დიდებში	7	275	110	---
3	11დეკემბერი	ფალავნობა 2022 დიდები	9	147	72	---
				<b>638</b>	<b>218</b>	

შუალედური შედეგი

- ფუნქციონირებს სპორტული ჯგუფები და სექციები თავისუფალ, ბ/რომაულ, ქართულ ჭიდაობაში, მიუდოსა და სამბოში.
- კლუბის სპორტსმენები ვარჯიშობს კომფორტულ და ინფრასტრუქტურით გამართულ საჭიდაო დარბაზებში, რომელთაც 2022 წელს ჩაუტარდათ სარეაბილტაციო სამუშაოები.
- წარმატებული სპორტსმენები, რომლებიც წარმოადგენენ სამტრედიის მუნიციპალიტეტს და ასახელებენ მას, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

### 5.10 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის პროგრამა გათვლილია დაწყებითი საშუალო განათლების სასწავლო გეგმაზე (სწავლის ხანგრძლივობა 7 წელი). სწავლის ღირებულება თვეში შეადგენს 10 ლარს. მოსწავლეთა რაოდენობამ შეადგინა 214 მოსწავლე, მ/შ სოციალურად დაუცველი 19 მოსწავლე. სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხდება მშობელთა შემონატანით.

სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა განყოფილებები. კერძოდ: საფორტეპიანო, სიმებიანი (ვიოლინო, ჩელო), ჩასაბერი ინსტრუმენტი (კლარნეტი, ფლეიტა). კლასიკური ვოკალი, საესტრადო, ქართული ხალხური საკრავები (დოლი, ფანდური, ჩონგური, სალამური).

დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლაში 2022 წელს განხორციელდა სამუშაო გეგმა:

1. გამოსაშვები გამოცდები
2. კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები
3. მისაღები გამოცდები
4. I კლასის მოსმენა
5. დახურული კონცერტი

ასევე, მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში:

- ქ. თბილისი - საქართველოს ხელოვანთა კავშირი, ხელოვნები მომავლისათვის „მომავლის ვარსკვლავები“. წარდგენილი იყო საორკესტრო განყოფილების 1 მოსწავლე.

დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით.

- ქ. თბილისი მარინე იაშვილის სახელობის კონკურსი „რონდო კლასიკა“ წარდგენილი იყო საორკესტრო განყოფილების 1 მოსწავლე.

დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით.

- იმერეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფების ფესტივალი. მონაწილეობა მიიღო საესტრადო და ხალხური საკრავების განყოფილებების მოსწავლეებმა.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საორკესტრი, საესტრადო და ხალხური საკრავების განყოფილებების მოსწავლეებმა,

### შუალედური შედეგი

სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შეძენა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება, ხელოვნების სკოლების და განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

### 5.11 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 საშუალო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 საშუალო სკოლა სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელშიც ფუნქციონირებს საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება. სასწავლო პროცესი

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად წარიმართა. 2022 სასწავლო წლის მდომარეობით სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე. აქედან 45 ვაჟი და 85 გოგონა. გადასახადი თვეში 1 ბავშვზე შეადგენს 10 ლარს. სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხდება მშობელთა შემონატანით.

2022 წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო და შესრულდა:

ტარიფიკაციის დადგენა, სასწავლო გეგმის შედგენა-დამტკიცება (პირველი-მეორე სემესტრი), შუალედური ჩათვლები, საკონტროლო გაკვეთილები, დახურული კონცერტები პედაგოგების კლასების მიხედვით, სემესტრების მიხედვით სასწავლო პროგრამების შესრულების შემოწმება, საახალწლო კონცერტი-კარნავალი, ღია გაკვეთილები საფორტეპიანო და თეორიულ საგნებში, საგაზაფხულო კონცერტი, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა: საკრავი, სოლფეჯიო წერა/ზეპირი, მუსიკის ლიტერატურა წერა/ზეპირი. გადასაყვანი გამოცდები ჩატარდა: საკრავი, სოლფეჯიო წერა/ზეპირი (პირველ, მესამე და მეხუთე კლასში), მუსიკის ლიტერატურა წერა/ზეპირი (მეოთხე კლასში), გამოცდების მიმდინარეობისას შეირჩა მოსწავლეები წლის საანგარიშო კონცერტში მონაწილეობისათვის.

2022 წლის მაისის თვეში ქ.სენაკში ტრადიციულად ჩატარდა რეგიონალური ფესტივალი. ამ ფესტივალზე სკოლა ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას წარმატებით. წელს ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო სკოლის საორკესტრო განყოფილებამ. (პედ.მერაბ რაფაელოვი) წარმოდგენილი იყო ხალხური საკრავების განყოფილება. 3 მოსწავლე დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით. ხალხური საკრავების განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო რაიონის ფოლკლორულ ფესტივალზე. სასწავლო წელი დასრულდა მოსწავლეთა აკადემიური კონცერტით.

## **შუალედური შედეგი**

სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შეძენა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება, ხელოვნების სკოლების და განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

### **5.12 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 03)**

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა არის სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეს აძლევს დაწყებით სამუსიკო განათლებას, რომელიც თავის მხრივ ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების, წარმოსახვისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

სამუსიკო სკოლაში მუშაობა წარიმართა სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

პროგრამა ორიენტირებულია ყველა მოსწავლეზე. ყველა შედეგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ხარისხით, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

2022 წელს სამუსიკო სკოლაში სიით 52 მოსწავლე ირიცხებოდა. აქედან 28 მოსწავლე ხალხური საკრავების განყოფილებაზე, ხოლო 24 საფორტეპიანო განყოფილებაზე.

2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბერი ჩათვლით სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩატარდა წარმატებით

- ✓ 2022 წლის იანვარში ჩატარდა შიდა დახურული კონცერტი როგორც საფორტეპიანო ასევე ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეებს მონაწილეობით. კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა შეაფასა პედაგოგების ნაყოფიერი მუშაობის შედეგები.
- ✓ 2022წლის მარტის თვეში ჩატარდა როგორც დედის დღესთან მიძღვნილი კონცერტი
- ✓ ასევე ტოლების სამუსიკო სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღია აკადემიური კონცერტი რომელსაც ესწრებოდა კულტურის სამსახურის სარმომადგენლები. სადაც სკოლის დირექტორმა პედაგოგებმა და ბავშვებმა მადლობა დაიმსახურეს.
- ✓ ტოლების სამუსიკო სკოლამ მონაწილეობა მიიღო სენაკის არტ.ფესტივალში რომელიც ტარდება ხელოვნების აკადემიის დირექტორის ბატონ. ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით სამუსიკო სკოლამ მიიღო საპატიო სიგელი ხოლო მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და საპატიო სიგელებით ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 38 ბავშვმა
- ✓ 2022 წლის ივნისში ჩატარდა ღია აკადემიური შემაჯამებელი კონცერტი.

- ✓ სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გარე ღონისძიებებზე მაგალითად სოფელ ტოლების ტერიტორიაზე ხიდის გახსნასთან დაკავშირებით ჩვენისკოლის გუნდის ბავშვებმა. ასევე შემოდგომის დღესასწაულზე რომელიც ჩატარდა სოფ ტოლების ღია ტერიტორიაზე.
- ✓ დეკემბერში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ დავით ბახტაძის ინიციატივით ჩატარდა სახელოვნებო სკოლების და შემოქმედებითი ჯგუფების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის ქართულ ხალხურ საკრავთა განყოფილების ანსამბლმა. ასევე დეკემბრის თვეში ჩატარდა ღია საახალწლო კონცერტი.

სკოლა დაამთავრა 7 მოსწავლემ წარმატებით და მისაღებ გამოცდებზე პირველ კლასში ჩაირიცხა 7 მოსწავლე.

### შუალედური შედეგი

სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შექმნა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება, ხელოვნების სკოლების და განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

### 5.13 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ააიპ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა“-ში ფუნქციონირებს საფორტეპიანო და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილება. სასწავლო პროცესი წარიმართა სამუსიკო, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც მორგებულია ყველა ბავშვის ინდივიდუალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 85 ბავშვს. სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხდება მშობელთა შემონატანით.

მოსწავლეებმა 2022 სასწავლო წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს ქ.სენაკში ვ. შიუკაშვილის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში და მონაწილეები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

სკოლაში განხორციელდა გეგმით განსაზღვრული შემდეგი ღონისძიებები:

N	თარიღი	ღონისძიება	ხარჯი
1	15.03.2022-დან თვის ყოველ მეორე ორშაბათს	დახურული კონცერტები	X
2	20.04.2022	ჩათვლები: სონატური ფორმა	X
3	04.05.2022	ტექნიკური ჩათვლები:გამები პროგრამის მიხედვით, ეტიუდები	X
4	04.03.2022	დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი	X
5	10.06.2022	კლასიდან-კლასში გადასაყვანი გამოცდები	X
6	15.06.2022	გამოსაშვები გამოცდები	X
7	08.07.2022	შემაჯამებელი კონცერტი	X
8	01.10.2022-05.10.2022-მდე	მოსწავლეთა კონტიგენტის შევსება,განახლება	X
9	16.11.2022-დან თვის ყოველ მეორე ორშაბათს	დახურული კონცერტები	X
10	21-22 ნოემბერი	ტექნიკური ჩათვლები: ეტიუდი და გამები პროგრამის მიხედვით	X
11	29-30 ნოემბერი	ღია გაკვეთილები:პედაგოგები:მ. სანიკიძე,თ ხურცილავა,თ. ნიკოლეიშვილი	X
	09.12.2022	პირველკლასელთა მოსმენა	X
	15.12.2022	დამამთავრებელ კლასელთა მოსმენა	X
	16.12.2022	მერიის ინიციატივით ჩატარებულ ფესტივალზე ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობა. პედაგოგი ნ. ამაღლობელი.	X
	24.12.2022	საახალწლო კონცერტი	X

## შუალედური შედეგი:

- მოსწავლეთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში, სკოლაში მიღებული ცოდნის მაქსიმალური გამოჩენა.

### 5.14 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დაწყებით საფეხურზე, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის სხვა ნორმატიული აქტებისა და წესების საფუძველზე.

2022 წელს ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და მკაცრად იყო დაცული სკოლის „შინაგანაწესი“.

სახელოვნებო სკოლაში ირიცხება 114. სწავლის გადასახადი (მშობელთა შემონატანი) თვეში ერთ მოსწავლეზე შეადგენს 8 ლარს. სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხდება მშობელთა შემონატანით.

2022 წელს ჩატარდა ყველა სადღესასწაულო დღისადმი მიძღვნილი საკონცერტო ღონისძიებები. მოეწყო სამხატვრო გამოფენა. ჩატარებული იქნა გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება: ჩათვლები გამებსა და ეტიუდებში, ღია გაკვეთილები, დამამთავრებელი კლასის მოსმენები, დახურული კონცერტები და სხვა.

16 მაისს წყალტუბოში ფესტივალზე „გავეცნოთ სამშობლოს და ერთმანეთის შემოქმედებას“ - მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ხალხურმა განყოფილებამ. პედაგოგი შორენა რაზმაძე, მონაწილეობას იღებდა ხალხური განყოფილების 18 მოსწავლე.

20 მაისს სენაკის „ხელოვნების ფესტივალი - 2022“ - მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო განყოფილებამ, პედაგოგი ვერიკო ლორთქიფანიძე, მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ორმა მოსწავლემ, რომლებიც დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით. წარმატებით გამოვიდა სკოლის კლასიკური გუნდი, პედაგოგი რუსიკო ქუთათელაძე, კონცერტმამისტერი ნატო ქვირია.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ, სკოლების ჩართულობით მულტიკულტურული ფესტივალი მოაწყო, სადაც მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის სამხატვრო განყოფილებამ, „მომავლის პარკში“ გამოფენილ იქნა მოსწავლეთა ნამუშევრები, მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის სამხატვრო განყოფილების ათმა მოსწავლემ. პედაგოგი იაკობ ჩხიკვაძე. ღონისძიებას ესწრებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

20 ივნისს ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში „ოქროს დელფინი-2022“. პედაგოგი ზვიად ვაშაკიძე, სახელოვნებო სკოლის ქორეოგრაფიული განყოფილების 30 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ანსამბლი დაჯილდოვდა პირველი ადგილით და სიგელებით.

ჩატარდა დამამთავრებელი კლასის გამოცდები, მისაღები გამოცდები, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, აგრეთვე ჩატარდა სახელოვნებო სკოლის წლიური საანგარიშო კონცერტი სადაც მონაწილეობას იღებდა სახელოვნებო სკოლის ყველა მოსწავლე და პედაგოგები. კონცერტს ესწრებოდა მოსწავლეთა მშობლები და სოფლის წარმომადგენლები.

სახელოვნებო სკოლაში შეძენილ იქნა ხალხური საკრავები:

1. ფანდური - 5 ცალი
2. ტამტამი - 2 ცალი
3. სალამური - 2 ცალი
4. დოლი - 1 ცალი
5. ბასფანდური - 1 ცალი
6. ჩონგური - 2 ცალი
7. ჭიანური - 1 ცალი
8. ბალალაიკა - 1 ცალი

რომელიც გადაეცა ხალხური განყოფილების პედაგოგს შორენა რაზმაძეს. ხალხური განყოფილების მოსწავლეები სიხარულით ეუფლებიან ამ საკრავებზე დაკვრას.

2022 წლის 16 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამართულ საახალწლო ფესტივაზე მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლის ხალხურმა ანსამბლმა ხელმძღვანელი (შორენა რაზმაძე 18 მოსწავლე) და ქორეოგრაფიულმა განყოფილების ანსამბლმა პედაგოგი ზვიადი ვაშაკიძე. ფესტივალში მონაწილეობდა ქორეოგრაფიული განყოფილების 30 მოსწავლე.

26 დეკემბერს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა და პირველი ადგილით და სიგელებით დაჯილდოვდნენ საქართველოს ეროვნული ფილარმონიის მიერ გამართულ ფოლკლორის ფესტივალზე.

2022 წელს გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება წარმატებით იქნა შესრულებული. ფესტივალებსა და კოკურსებში მიღებული სიგელები და ჯილდოები ინახება ადგილზე.

## **შუალედური შედეგი**

სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, კულტურის მიმართულების ღონისძიებების განხორციელება, გამოცდილების შექმნა, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება, ხელოვნების სკოლების და განვითარება, შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

### **5.15 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 06)**

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის პროგრამა გათვლილია დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე. (სწავლის ხანგძლივობა 6 წელი) სწავლის ღირებულება შეადგენს თვეში 7 ლარს სკოლაში ირიცხება 71 მოსწავლე. სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხსება მშობელთა შემონატანით.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, ხალხური საკრავების (ფანდური, დოლი, ტამტამი, ჩონგური) და ქორეოგრაფიული განყოფილება. სასწავლო პროცესი წარიმართა სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც მორგებულია ყველა ბავშვის ინდივიდუალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე.

**ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლაში 2022 წელს განხორციელდა სამუშაო გეგმა:**

- 1.გამოსაშვები გამოცდები
  - 2.კლასიდა კლასში გადასაყვანი გამოცდები
  - 3.მისაღები გამოცდები
  - 4.პირველ კლასეთა მოსმენა
  - 5.დახურული კონცერტი
  - 6.ტექნიკური ჩათვლები ეტიუდებსა და გამებში
  - 7.შემაჯამებელი კონცერტი
  - 8.ღია გაკვეთილები
- საახალწლო კონცერტი

ასევე, საანგარიშო წლის განმავლობაში მერიის ინიციატივით ჩატერებულ სადღესასწაულო ფესტივალზე მონაწილეობა მიიღო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა სადაც მონაწილეობდა 20 მოსწავლე (პედაგოგი მამუკა ბუაძე). ხოლო სენაკის საერთაშორისო ფესტივალზე ფორტეპიანოს, ხალხურ საკრავთა და გუნდის 30 მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და დიპლომებით.

## **შუალედური შედეგები:**

- მოსწავლეთა მასიური ჩართულობა-შემოქმედით ცხოვრებაში. კონკურსის და ფესტივალების საშუალებებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ მოზარდთა გამოვლენა. მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.

### 5.15 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა არის სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნებო სამხატვრო პროგრამებს, როგორც პროფესიონალ მხატვართათვის ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. სამხატვრო სკოლის მიზანია მისცეს ახალგაზრდებს სახელოვნებო განათლება. გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მაქსიმალურად იყოს ჩართული სკოლის აღსაზრდელები მუნიციპალიტეტსა თუ სხვადასხვა ქალაქებში გამართულ გამოფენებში. სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების მიზნით ჩატარდეს გამოფენები, როგორც საერთო, ასევე პერსონალური. მხატვართა დაინტერესებისა და სტიმულისათვის მოეწყოს გამოფენა - გაყიდვები. სამხატვრო სკოლა გალერეას მიზანია ხელი შეუწყოს არა მარტო ადგილობრივი მხატვრების, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებიდან მოწვეულ ხელოვანთა შემოქმედების პროპაგანდას. სამხატვრო სკოლა-გალერეა მიზნად ისახავს ასევე სამხატვრო სკოლის აღსაზრდელების შემეცნებით - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვას (ექსკურსიებზე გაყვანა მუზეუმებსა და გალერეებში) პრაქტიკული გაკვეთილები პლენერზე (ქალაქგარეთ გასვლა). დამეგობრებულ სამხატვრო სკოლებსა და სტუდიებთან გაცვლითი ღონისძიებების ჩატარება (გამოფენები, კონკურსები, ფესტივალები, პლენერი, მასტერკლასები). ჩატარდეს „საღამო გახსენებები“ სადაც პატივი მიეგება აწ გარდაცვლილ მხატვრებს, რომლებიც წლების მანძილზე ემსახურებოდნენ ქართული კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების განვითარებას, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. დაფინანსების შემთხვევაში განახლდეს გალერეაში არსებული ფერწერული ტილოების ფონდი, რაც გულისხმობს, ახალი, თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შექმნას და ამავდროულად გალერეას ფონდში დღემდე არსებული ფერწერული ტილოების აღდგენა-რესტავრაციას.

სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის სუბსიდიის სახით ფინანსდება ყველა საჭირო ხარჯები, რომლის ნაწილობრივი შევსება ხსება მშობელთა შემონატანით.

სამხატვრო სკოლა -გალერეა ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად მიზნად ისახავდა და განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ჩართვა და ორგანიზება, კერძოდ:

2022 წელი:

- 1) 18.02.2022 ქ. სამტრედია ინტელექტუალურ - შემეცნებითი გამოფენა-დისკუსია თემაზე „არა ძალადობას“ „უარი ბულინგს“ (სამხატვრო სკოლის ოცამდე აღსაზრდელი)
- 1) 09.04 2022 თბილისი. ბავშვთა ნახატების გამოფენა-გაყიდვა, მიემდგვნა 9-აპრილს. მონაწილეობდა 15 მოსწავლე. თანმხლები პირები: პედაგოგები და 3 მშობელი.
- 2) 19.06.2022 სტეფანწმინდა-ყაზბეგი. ფესტივალი „მთის ჰანგები“ გამოფენა - გაყიდვა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ჩვენი სკოლიდან მონაწილეობას იღებდა- 17 მოსწავლე, თანმხლები პირები: 2 პედაგოგი და 3 მშობელი.
- 3) 26.05.2022 საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროფესიონალ მხატვართა გამოფენა პლენერზე. მონაწილეობდნენ ადგილობრივი პროფესიონალი მხატვრები. ლოკაცია: კულტურისა და დასვენების პარკი.
- 4) 01.06.2022 ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-გაყიდვა. მონაწილეობდა სამხატვრო სკოლის ორმოცამდე აღსაზრდელი. გამოფენა გაიმართა ღია ცის ქვეშ, სამტრედიის კულტურისა და დასვენების „მომავლის პარკ“-ში. გამოფენა ინახულა ადგილობრივმა მოსახლეობამ.
- 5) 15.07.2022 შიდა სასკოლო გამოფენა სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და საკრებულოდან, მშობლები და სხვა დამთავრიელებლები, დაახლოებით-100-150 ადამიანი.
- 6) 25.07.2022 ქუთაისი პროფესიონალ მხატვართა გამოფენა გალერეა „ვარლა“-ში „იმერული პალიტრა“ (დამზადდა კატალოგები,რაშიც დაიხარჯა 240 ლარი). გამოფენას უმასპინძლა გალერეა „ვარლა“-მ. გამოფენა მიმოიხილა დაახლოებით 500 -მდე დამთვალიერებელმა.
- 7) 16.10. 2022 თბილისი. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი თემაზე „ხელოვნება გვერთიანებს“.მონაწილეობდა სკოლის 18 აღსაზრდელი. დაიხარჯა მივლინების ხარჯი 120 ლარი და ტრანსპორტის ხარჯი 500 ლარი. ღონისძიება გაიმართა „ART HOLL“-ში, ღონისძიებას ესწრებოდნენ

აზერბაიჯანის, სომხეთის, ესტონეთის, რუმინეთის, ლიეტუას კულტურის მინისტრი და სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები.

8) 20.11.2022 ნიკოზა. პროფესიონალ მხატვართა გამოფენა. ნ.ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი ასევე სამეგრელოს რეგიონიდან (ფოთი) ჩამოსული სტუმრები.

9) 23.11.2022 თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული გამოფენა-კონცერტი მიძღვნილი წმინდა გიორგის ხსენების დღეს. (სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.) მონაწილეობდა 18 მოსწავლე. დაიხარჯა მივლინების თანხა 120 ლარი და ტრანსპორტის 500 ლარი.

10) 9.12.2022 სამტრედია. ინტელექტუალურ -შემეცნებითი ღონისძიება, გამოფენას თან ახლდა განხილვა და დისკუსია თემაზე „არა ძალადობას, ბულინგს, ნარკომანიას...“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლები, გამოფენაში მონაწილე ბავშვები და სხვა დამთვალიერებლები. დაახლოებით 50-70 ადამიანი. ასევე ამ თემასთან დაკავშირებით მცირე დარიგება მისცა ახალგაზრდებს სოფ. დანიის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა გიორგი ღიბრაძემ. მონაწილე ბავშვებს გადაეცათ წამახალისებელი საჩუქრები და სიგელები.

11) 11.12.2022 მასტერკლასი - გამოფენა. მუშაობა პლენერზე (შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი და მინიატურების მუზეუმი).

### შუალედური შედეგი

- მოზარდი თაობის დაინტერესება ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართ.
- მუნიციპალიტეტში მოღვაწე პროფესიონალი მხატვრების გაერთიანება, მათი შემოქმედების პროპაგანდა და მათ ჩართულობა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელოვნებო სფეროში.

### 5.16 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ააიპ სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიზანია კულტურის, ხელოვნების, შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში. კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრმა 2022 წელში უზრუნველყო ღონისძიებები:

საახალწლო საშობაო კონცერტი - კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით. დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერა „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ რეჟისორი - ვეფხია ნადირაძე. ანსამბლ „იმედი“-ს მიუზიკლი „ზღაპარი ზღაპარში“ ხელ-ლი ანა აბზიანიძე. თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერა „რწყილი და ჭიანჭველა“ რეჟისორი - ლევან გაბრიჭიძე. დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერა „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ დამდგმელი რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე, რეჟისორი - ვეფხია ნადირაძე. აღდგენილი სპექტაკლი ქორეოგრაფიული შოუ - „საშობაო დამის სიზმარი“.

2022 წლის განმავლობაში განხორციელდა დრამატული თეატრის ორი სპექტაკლის პრემიერა, თოჯინების თეატრის ერთი სპექტაკლის პრემიერა, პარალელურად მიმდინარეობდა დრამატული თეატრისა და თოჯინების თეატრის რიგითი სპექტაკლების ჩვენება, კ/ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების, სტუდიების, ჯგუფების, ინდივიდუალურ შემსრულებელთა რიგითი ღონისძიებები.

ღონისძიებები: (ადგილზე, გასვლითი)

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები.
2. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო თეატრალური ფესტივალი „იმერეთი“ -2022-ში სპექტაკლით ერიკ ემანუელ შმიტი - „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“ რეჟისორი - კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი.



ფესტივალზე ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის დრამატული თეატრი დაჯილდოვდა 3 ნომინაციაში: 1. პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლი. 2. პრიზი ქალის საუკეთესო როლი 3. პრიზი ფესტივალის აღმოჩენა.

3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის ქალთა ანსამბლმა „ათინათმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- 1) ვარინკა წერეთლის სახელობის ფესტივალი - „სულიკო“-2022 „ვარინკობა“ (ქ. ზესტაფონი)
- 2) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპების ფესტივალი.
- 3) საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საიუბილეო კონცერტი.

4. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის ვაჟთა ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- 1) საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი I-ლი ტური (ქ. ხონი)
- 2) საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საიუბილეო კონცერტი.
- 3) საშობაო - საახალწლო ღონისძიებები.

5. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „მასპინძელმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- 1) საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი I-ლი ტური (ქ. ხონი)
- 2) საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი II-ე ტურის კონცერტი (ქ. ქუთაისი)
- 3) საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საიუბილეო კონცერტი.
- 4) საშობაო - საახალწლო ღონისძიებები.

6 . ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სამტრედია“-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- 1) ქ. ბათუმში საერთაშორისო სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ -კონკურსში „ხელოვნება საზღვრების გარეშე“ ანსამბლს მიენიჭა ლაურიატის წოდება, ხოლო ანსამბლის წევრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით.
- 2) ქ. წყალტუბოში საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში. ანსამბლის წევრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით.
- 3) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპების ფესტივალი.
- 4) საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საიუბილეო კონცერტი.
7. კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა გიორგი შენგელიამ და მარი ტორონჯაძემ მონაწილეობა მიიღეს . ვარინკა წერეთლის სახელობის ფესტივალ - „სულიკო“-2022-ში „ვარინკობა“ (ქ. ზესტაფონი) და საახალწლო საშობაო კონცერტებში.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრმა მოემსახურა სხვადასხვა შემოქმედებით კოლექტივებს.

1. ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმერის“ კონცერტი.
2. საქველმოქმედო ორგანიზაცია მძიმე ჯვარი „ვაკეთოთ სიკეთე უანგაროდ“- საქველმოქმედო საღამო.
3. ლევან შენგელიას კონცერტი.
4. საჩხერის სპექტაკლი -„ფუტურო ადამიანები“
5. ქართული ხმები - კონცერტი
6. სამტრედიის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლილე“-ს კონცერტები.
7. ანსამბლ „ორუდილას“ - კონცერტი.
8. ნიკოლოზის დღისადმი მიძღვნილი „რანინას“- კონცერტი.

## შუალედური შედეგი

- 2022 წლის შედეგების მიხედვით კონცერტებსა და სპექტაკლებზე გაიზარდა მსყურებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმატა დაინტერესებამ ახალგაზრდებში.

5.17 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა.

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ (1996 წ.). ბიბლიოთეკაში ხდება ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, პრეზენტაციები, თემატური გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, მოსწავლეთა ექსკურსიები ბიბლიოთეკაში და სხვა. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას, მათი კითხვაში ჩაბმის მდგომარეობას. თანამშრომლობს სკოლებთან და ტარდება ერთობლივი ღონისძიებები.

ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის მიზნით ბიბლიოთეკის ყოველი აქტივობა შუქდება ადგილობრივი ტელევიზიისა და პრესის მიერ.

2022 წელს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ფონდ „არველადის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ვაუჩერიზაციის პროექტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ ივნისის თვეში საჩუქრად მიიღო 900 ლარის ღირებულების ვაუჩერი, რომლითაც პროექტის მონაწილე ორგანიზაციებისგან შევიძინეთ ბიბლიოთეკისთვის საჭირო ლიტერატურა. ტრანსპორტირება უზრუნველყო საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

2022 წელს ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში სულ შემოვიდა 636 ეგზ. წიგნი, საერთო ღირებულებით 5809 ლარი და 23 თეთრი. აქედან ბიუჯეტით შესყიდულია 343 ეგზ. წიგნი, ღირებულებით 4016 ლარი და 50 თეთრი. მკითხველისგან და ორგანიზაციებისგან საჩუქრად შემოვიდა 275 ეგზ წიგნი, ღირებული 1689 ლარისა და 73 თეთრის. (შედგ. აქტები).

2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება სულ მოემსახურა 4199 მკითხველს, რომელზეც გაიცა 52320 საბიბლიოთეკო ერთეული.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიბლიოთეკო გაერთიანების (10 მოქმედი და 3 გაუქმებული ბიბლიოთეკა) ფონდი სულ შეადგენს 156072 საბიბლიოთეკო ერთეულს, საერთო ღირებულებით 324423 ლარი და 25 თეთრი.

ბიბლიოთეკის სახელწოდება	საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურული და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა, შედეგები	გაწეული ფინანსური ხარჯი
ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა	„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული კითხვა და დისკუსია.	
	☐ საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით - „მე ქართველი ვარ, სიმულვილი არ შემძლება!“.	
	☐ საჯარო შეხვედრა ფსიქოლოგ ლელა სტურუასთან.	
	☐ 2022 წლის 15 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდნენ: გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახტანგისის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის სპეციალისტი იბრაგიმბაილი ბაირამოვი და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამომოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის სპეციალისტი მურადდინ იუსუბოვი. გაფორმებულია მემორანდუმი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის. პროგრამის მიზანია - სახელმწიფო ენის და დარგობრივი ენის კომპენტეციების განვითარება; სამუშაო სივრცეში სახელმწიფო ენის აქტიური გამოყენება; ქართულენოვან კოლეგებთან თანამშრომლობის გაძლიერება, რომელთა ინტერესში შედის სხვადასხვა რეგიონების კულტურული დაწესებულებების შესწავლა, დათვალიერებაც. სტუმრები ადფრთოვანებულიები დარჩნენ ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდის ნახვით და გაცნობით.	
	☐ მარიამ მარჯანიშვილის წიგნ-ალბომის „დერჩის ქვების დადადისი“- პრეზენტაცია;	
	☐ წლის თემატური გამოფენები	
საქალაქო #1 ბიბლიოთეკა	☐ "ნორჩი მკითველების მოგზაურობა წიგნის სამყაროში"	
	☐ საუბრები რელიგიურ თემებზე	
	☐ საახალწლო ღონისძიება „მომილოცნია ახალი წელი“	

	☐ წლის თემატური გამოფენები	
საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა	ზღაპრის დილა „მოდი ზღაპარო“	
	☐ წლის თემატური გამოფენები	
ღანიის სასოფლო ბიბლიოთეკა	ნორჩი მოსწავლეების ექსკურსიები ბიბლიოთეკაში	
ჯიხაშის სასოფლო ბიბლიოთეკა	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე	
	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	
გომის სასოფლო ბიბლიოთეკა	რელიგიური ლიტერატურული საღამო „შობა მარიამ ღვთისმშობელისა“	
	8 მარტი- შეხვედრა მრავალშვილიან დედეებთან.	
	მკითხველთა კონფერენცია თემაზე : „ენა ქართული დედა ჩვენი“	
	გალაკტიონ ტაბიძის 185 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო „ლექსების ჯადოქარი“	
საჯავახოს სასოფლო ბიბლიოთეკა	დედაენის დღისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია	
	საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო	
კულაშის სასოფლო ბიბლიოთეკა	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო	
ბაშის სასოფლო ბიბლიოთეკა	„9 მაისის ქართველი გმირები“ - მიემდგვნა ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავს	

### შუალედური შედეგი

- საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა, ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

### 5.18 შპს „სამტრედიის მაცნე“ (პროგრამული კოდი 05 03)

გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ერთადერთი გაზეთია რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას.

გაიზარდა მკითხველის ინტერესი გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სოციალურ-საყოფაცხო-ვრებო თემატიკის შემცველი მასალების მიმართ. გაიზარდა გაზეთის ხელმოწერთა რაოდენობა. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“-ს პროგრამის მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე დროულად მიწოდება. იგი უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. ასევე, აშუქებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. მისი მიზანია იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა, გამოხატოს საზოგადოების ინტერესი, გააშუქოს მისთვის საჭირობო საკითხები. სხვადასხვა რუბრიკებით ისაუბროს ადამიანებზე, მოვლენებზე, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებას სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში და ჯანსაღი აზრის განვითარებაში. ასევე ხელი შეუწყოს ჯანსაღი მომავლის აღზრდასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ მიზანია იყოს მედიატორი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. სწორად წარმართოს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა და იყოს ორიენტირებული მოგებაზე.

2022 წლისათვის გამოვიდა გათვალისწინებული და დაგეგმილი 24 გაზეთის ნომერი, (ერთ თვეში 1000 ეგზემპლარი, წელიწადში 12000 ეგზემპლარი გაზეთი).

საქართველოს ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის პარტნიორი ( შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაცია), რომელიც ქვეყნის მასშტაბით გამოყოფს წარმატებულ საწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობაში და ანიჭებს მათ ადგილს

რეიტინგში, მათგან საუკეთესოებს კი „წლის ლიდერი“-ის წოდებას და გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ გახდა 2022 წლის ლიდერი ორგანიზაცია.

ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი პროგრესის, კომპანიის წინსვლაში პირადი წვლილის შეტანისთვის სერთიფიკატი „წლის დირექტორი“ გადაეცა კომპანიის დირექტორს ბეჟან გოგიას.

### **შუალედური შედეგი**

მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მიმართ. მკითხველთა და ხელმომწერთა ზრდა, ინფორმირებული მოსახლეობა.

### **5.19 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 04)**

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი 2008 წელს ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის [www.samtredia.com.ge](http://www.samtredia.com.ge) მუდმივი განახლება და საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ არის. საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად ახალგაზრდებთან და მოწყვლად ჯგუფებთან სამოქალაქო აქტივობების განხორციელებაა. [www.samtredia.com.ge](http://www.samtredia.com.ge) მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ყოველდღიურად განახლების რეჟიმშია. 2022 წელს ოფიციალურ ვებ გვერდზე 753 მასალაა განთავსებული. ვებ-გვერდზე იტვირთება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ოფიციალური დოკუმენტაცია. აქტიურად მუშაობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი სოციალური მედიის კუთხით. საინფორმაციო ცენტრი მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებას. ვებ-გვერდზე ჩაშენებული მოქალაქეთა ჩართულობის უკუკავშირის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი საჭიროებების კვლევასა და იდენტიფიცირებას.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ადამიანური რესურსისა და მატერიალური ტექნიკური ბაზის გამოყენების საშუალებით მუნიციპალიტეტში არა ერთი აქტივობა განხორციელდა.

საინფორმაციო ცენტრი არის ინოვაციური, რაც გამოიხატება ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში.

2022 წელს საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდის მიზნით მოეწყო შეხვედრა FLEX პროგრამის, Erasmus plus პროგრამის წარმომადგენლებთან, ასევე შეხვედრა მოეწყო WENDY – ის HR წარმომადგენელთან. ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ასევე დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“ შეხვედრას ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 20 ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივითა და ახალგაზრდების ჩართულობით გაკეთდა ვიდეო როგორც ადამიანის უფლებების თემატიკაზე.

საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თანამშრომელთა გადამზადება. ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

საინფორმაციო ცენტრი აღჭურვილია უახლესი სტანდარტების შესაბამისად ტექნიკითა და საოფისე მასალით. საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ეძებს პარტნიორებს და დაფინანსებას. სწორედ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი არის მდგრადი განვითარებული, სტანდარტების შესაბამისი ორგანიზაცია.

2022 წელს საინფორმაციო ცენტრში კომპიუტერის კურსები გაიარა სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 25 მოქალაქემ.

2022 წელს საინფორმაციო ცენტრის ინგლისური ენის კურსები გაიარა სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 30 მოქალაქემ.

2022 წელს საინფორმაციო ცენტრში 2 დასაქმების მსურველთა ტრენინგი ჩატარდა– თემა: CV და სამოტივაციო წერილების წერა.

### **შუალედური შედეგი**

- განახლებული დიზაინის და ტექნიკურად მოქნილი საიტი; საზოგადოების ინფორმირება საიტის საშუალებით; ახალგაზრდული ჯგუფის წევრების ჟურნალისტური უნარ-ჩვევების გამომუშავება თემში ინგლისური ენის გაუმჯობესება; თემში კომპიუტერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; საზოგადოებრივ-შემეცნებითი მაღალპოლიგრაფიული ჟურნალის ბეჭდვა; საიტზე და სოციალურ ქსელში ვიდეო მასალების განთავსება; სამტრედიის და მიმდინარე მუნიციპალიტეტისთვის ბეჭდური მომსახურების შეთავაზება

## 5.20 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გუნდ „ინტერსტელარის „ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშში „ რა?სად?როდის?“
- ტრაგიკულად დაღუპული ძმების იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის მუნიციპალური მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში: „რა?სად?როდის?“, „ბრეინ-რინგი“, „ჯეპარდი“ „ფიფა“ და მუსიკალური „რა?სად?როდის?“
- დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებისათვის შეძენილი იქნა წიგნები.
- 30 აპრილს დიდ ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „ რა?სად?როდის?“ სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო სკოლებს შორის,რომელთაც საჩუქრად გადაეცათ წიგნები.
- 17 მაისი მუზეუმისკვირეულთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება თემაზე „ ა.შანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა,“ რომელშიც ჩართული იყვნენ ნოდის საჯარო სკოლის მოსწავლეები ,ასევე 18 მაისს მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დიდ ჯიხაიში სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველოს დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმძღვრები“ ლექცია წაიკითხეს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი და უახლესი ისტორიის დოქტორანტმა გიგა ჩალიგავამ და თანაწამყვანმა გიორგი ცაგარეიშვილმა, ლექციის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და ნიკო ნიკოლაძის თემის ირგვლივ გაიმართა კონკურსი კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც ჩართული იყვნენ სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები, გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები.
- 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება მოწვეული იყო ანიმაციური პერსონაჟები;

ასევე სამსახურის ორგანიზებით მოეწყო კულტურული ფესტივალი, სადაც საჯარო სკოლებმა წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები

- 23 და 24 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ კონკურსი დისტანციურ რეჟიმში.
- ინტელექტკლუბ „ინტელსტელარის“ გუნდის წევრებს გადაეცათ ფულადი ჯილდო
- გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოვება წიგნებით.
- 3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღე, დღის ცენტრ „ლამპარის“ ბენეფიციართათვის ანიმაციური პერსონაჟების მოწვევა და საჩუქრების შეძენა.
- #1 საჯარო სკოლის დოკუმენტური ფილმების კინოკლუბის CineDOC-ის ხელმძღვანელის ეკატერინე შვანგირაძის წახალისება (ფულადი ჯილდო).
- ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოვება

## შუალედური შედეგი

საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, მათი ცოდნის დონისა და სამოქალაქო

თვითშეგნების ამაღლება,პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება.

## 5.21 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

საანგარიშო პერიოდში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სპეციალურ რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის საშობაო 18 ამანათის შექმნა.
- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ მისალოცი ბარათები, სუვენირები.
- 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჟურნალისტებთან, რომლებსაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.
- ქუთაისის საგამოფენო დარბაზ „ვარლაში“ მხატვართა საგაზაფხულო ნამუშევრების გამოფენაზე მონაწილე მხატვრების დაჯილდოება.
- გაიმართა „ფოლკლორის ზეიმი“ სამტრედიის ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობით.
- მომდერალ ლაშა ლლონტის კონცერტის დაფინანსება.
- „ღამის შოუს“ ბენდის კონცერტი.
- წარმატებული პედაგოგების დაჯილდოვება.
- კვარტეტ „რანინას“ კონცერტი.
- საჩხერის პაოლო იაშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ფუტურო ადამიანები“.
- შპს „სტუდია კავკასიონი“-ს მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღებისა და ეკრანზე გასვლის მომსახურების შესყიდვა .
- პოეტ ნინო უძილაურის მეოთხე კრებულის „მე, შენ, ის“ პრეზენტაცია.
- საახალწლო მსვლელობისათვის სანტების ფორმების შექმნა.
- ნაძვის ხის ანთება.
- საახალწლო კონცერტი.
- „თეატრალურის კვარტეტის“ კონცერტი.
- ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით 3D ვირტუალური ტურის გადაღების და სერვერზე განთავსების მომსახურება.
- სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსახურებული სამტრედიელების დაჯილდოვება(სიგელები-სტუმრების გამასპინძლება; ფულადი ჯილდო).

## შუალედური შედეგი

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შემოქმედებით, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას. მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული რესურსის შესახებ, მიმზიდველს გახდის მუნიციპალიტეტს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის. მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება.


## 5.22 ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 06)

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდა მთავარი საკათედრო ტაძარი.

## 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 2,354.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ს შეადგენს (გეგმა 2,392.4 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას მოხმარდა 127.5 ათასი ლარი, ხოლო სოციალური პროგრამებს - 2,226.5 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,392.4	2,354.0	98.4
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	147.5	127.5	86.4
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	147.5	127.5	86.4
06 02	სოციალური პროგრამები	2,244.9	2,226.5	99.2
06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომ“	282.9	280.1	99.0
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	206.2	199.5	96.8
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	264.0	263.8	99.9
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	1,479.0	1,471.1	99.5
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	10.8	10.0	92.6
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	2.0	2.0	100.0



### 6.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მიერ 2022 წელში განხორციელდა სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგს დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, (შემთხვევათა/ეპიდემიოლოგიის/გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას. ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მიერ ყოველთვიურად და საჭიროების მიხედვით ხდება: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის, პირველადი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების რგოლების მონიტორინგი - ეპიდ. ზედამხედველობა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხდება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაავადების შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, დადგენა, კერის დამუშავება - საჭიროებისას, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა -საჭიროებისას გამოკვლევების ჩატარება, ავადმყოფის იზოლაცია თუ ბინაზე ინფექციის შესაბამისად, ზედამხედველობას.

საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა # 60/ბ-ში აღრიცხულია: ტუბერკულოზის 10 სასწრაფო შეტყობინება, მ/შ-ის 9 ლაბორატორიულად დადასტურებული, ტუბერკულოზის ფილტვის ფორმის ყველა კერა შესწავლილია, გამოკვლეულია, ყველა პაციენტის ნახველი გამოკვლეულია მიკროსკოპით MgB და ჯინ ექსპერტი, ჩაუტარდათ რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია. ყივანახველას 1 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა, ჰეპატიტი C-ს 34 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა, სავარაუდო საკვების მიერი მოშხამების 254 შემთხვევა, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების 106 შემთხვევა, ბრუცელოზის 5, ჩუტყვავილას 11, პროქსოვირუსების 2 შემთხვევა. ასევე დაფიქსირდა 0-5 წალმდე ბავშვის სიკვდილის 1 შემთხვევა, 15-49 ასაკის ქალთა სიკვდილის 1 შემთხვევა, აივ- შიდსზე ტესტირებული იქნა 51 ბენებიცარი.

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწრის, დადორბვის 13921 შემთხვევა, პატრონიანი ცხოველი 987, მოხეტიალე ცხოველი 405, კლინიკურად ცოფი დადასტურდა 17 შემთხვევაში, ლაბორატორიულად 5 შემთხვევაში. დაფიქსირდა 1 ცოფის დიაგნოზით ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა. ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება ვეტ. სამსახურში დამკბენ ცხოველზე ვეტ. ზედამხედველობისათვის დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად.

ყოველი თვის ბოლოს ვადგენთ პირველადი ჯანდაცვის რგოლებიდან ანგარიშს ინფექციური დაავადების შესახებ ფორმა 58/3 -ით ვაკეთებთ ნაერთს და ვაგზავნით რეგიონალურ ჯანდაცვაში.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. პროფ.აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. სახელმწიფო უზრუნველყოფს მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ როგორც მეორადი ისე პირველადი სჯც-ს რგოლები. რაიონში არის 13 ს/ამბულატორია და 3 იურიდიული პირი. ყოველი თვის ბოლოს სამედიცინო დაწესებულებებიდან ხდება 1,8 ფორმის ჩაბარება ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების ანგარიში, კეთდება ნაერთი 2.8 ფორმაში და იგზავნება რეგიონულ ჯანდაცვაში. არსებული ფორმების წარმოება ხდება იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში.

სამტრედიის სჯც აღჭურვილია მაცივრებით, ასაცრელი მასალის შესანახად, დაცულია ოპტიმალური ტემპერატურა, ხდება თერმომომეტრის აღრიცხვა 2.7 ფორმაში დღეში ორჯერ, ვაქცინები ტრანსპორტირდება დაავადებათა კონტროლიდან სპეც. ტრანსპორტით კვარტალში ერთხელ და საჭიროებისამებრ. ყველა უზანს აქვს მაცივრები, სჯც-დან ს/უბნებზე ვაქცინის ტრანსპორტირება ხდება ცივი ყუთებით.

მიმდინარე წლის განმავლობაში, პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიამ ჩაატარა 577 კვლევა, დაფიქსირდა პარაზიტული დაავადებების 444 შემთხვევა. მათ შორის ენტერობიოზის - 320 შემთხვევა; ასკარიდოზის - 104 შემთხვევა.

2022 წლის განმავლობაში ენტომოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა რიგი ღონისძიებები. წლის დასაწყისში გავაკეთეთ მთელი რაიონის მასშტაბით არსებული წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია. აღნიშნულ ტერიტორიაზე არის 90 წყალსატევი, მ/შ მუდმივი არის 72, ხოლო დროებითი 28.

სამტრედიის რაიონში, როგორც ჰიპერმალარიული ზონა, მუშაობს სახელმწიფო პროგრამა. ეს პროგრამა მიმდინარეობს ორ ეტაპად: ივნისი-ივლისი და აგვისტო-სექტემბერი, რომლის განმავლობაშიც დამუშავდა 60000 მ2 ფართობი, ძირითადად დახურულ სივრცეში ინსექტიციდით, კერძოდ: სოლფაკით.

პროფილაქტიკოსის ანგარიში: მოსახლეობის ცხოვრების ჯარსალი წესის დამკვიდრების მიზნით გაწეული იქნა შემდეგი სახის ღონისძიებები:

მიმდინარე წელს გამოვეხმაურეთ მსოფლიო დღეებს სხვადასხვა აქტივობებით, რომელიც ტარდება სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. ჰიპერტენზიის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა: მოსახლეობაში წნევის სკრინინგი, სულ გამოკვლეული იყო 110 ადამიანი (მათ შორის მაღალი წნევა დაიფიქსირდა 42 ადამიანში), ასევე მათ მიეწოდათ ინფორმაცია წნევის სწორად გაზომვის, მისი თავიდან აცილებისა და გართულებების შესახებ.

მიმდინარე წელში ჩატარდა C ჰეპატიტის, შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგ პროგრამა (იმერეთის პილოტი) რომლის ფარგლებშიც სამივე კომპონენტზე სამედიცინო დაწესებულებების მიერ გამოვიკვლეული იქნა 1030 ბენებიცარი, მ/შ-ის 5 დადებითი. ასევე რუტინულად მიმდინარეობდა C ჰეპატიტის კვლევა ზოგად პოპულაციაში, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნა 1812 ბენებიცარი, მ/შ-ის დადებითი იყო 45.



ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების გამო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრმა გააგრძელა ყველა იმ ღონისძიებები, რაც საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული ბრძანებებით და შემუშავებული პროტოკოლებით იყო გათვალისწინებული.

მიმდინარე წელში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, კოვიდ-19-ზე ჩატარებული იყო 4339 ტესტირება, მ.შ-ის დადასტურებული შემთხვევა იყო 1207, ხოლო რაიონის მაშტაბით ჩატარებული იყო 36906 ტესტირება, მ/შ-ის დადებითი იყო 6874 ადამიანი.

#### **შუალედური შედეგი**

- ეპიდემიოლოგიური დაავადებების შემცირება
- ინფორმირებული მოსახლეობა

#### **6.2 ააიპ „სახლი თანადგომა“ (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური ცვლილებების ფონზე, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მათი მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გასაწევად და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ა.ა.ი.პ. „სახლი თანადგომა“, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა სოციალური პროგრამებით. ამანათის სახით განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები: სააღდგომო, მრავალშვილიანი დედების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ას წელს გადაცილებული მოხუცების.

1. სააღდგომო ამანათი 135 კაცზე გაიცა. სააღდგომო ამანათის ჩამონათვალში შედიოდა პასკა, კვერცხი, კამფეტი, სანთელი.
2. მრავალშვილიანი დედების ამანათი (5 და მეტი შვილზე ) 19 კაცზე. მრავალშვილიანი დედების ამანათის ჩამონათვალში შედიოდა პურის ფქვილი, მაკარონი, ზეთი, შაქარი ,ლიმონათი,ბრინჯი.
3. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ამანათი 18 წლამდე. 80 ბავშვზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ამანათის ჩამონათვალი: პურის ფქვილი, მაკარონი, ზეთი, შაქარი, ლიმონათი, ბრინჯი.
4. ასწლიანი 1 მოხუცი ბენეფიციარი თანხა 100 ლარი. ას წლიანი მოხუცების ამანათის ჩამონათვალში შედიოდა: პურის ფქვილი, მაკარონი, შედედებული რძე, შაქარი, ლიმონათი ნატახტარი , ბრინჯი, მარილი ტომატი, ლიმონათი თითოული ამანათის გაცემა ხდება სიის მიხედვით, რომელიც გადმოგვეცემა სოციალური სააგენტოდან ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მიღებული ამანათის გაცემა ფიქსირდება ბენეფიციარის ხელის მოწერით და პირადი ნიმრის ჩაწერით და მენიუთი , რაც დევს ამანათში.
5. სოციალურად დაუცველი მოსახლეობას, რომელსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიური შესაძლებლობა იმისათვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის 130 კაცზე ყოველდღიურად (გარდა კვირისა) ხდება სადილით უზრუნველყოფა დღეში ერთხელ უმწეოთა სასადილოში. ამ პროგრამით უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია საარსებო საშუალებით. სასადილოს პროგრამაში ჩართულები არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მიტანით ემსახურებიან დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებს.
6. სოციალურად დაუცველი და მარტოხელა 360 ბენეფიციარი სარგებლობს უფასო პურის პროგრამით. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ სულადობის მიხედვით. პროგრამაში ჩართული არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მიტანით ემსახურებიან დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებს.

#### **შუალედური შედეგი:**

- ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

#### **6.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 02)**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“ უზრუნველყო მარტოხელა და მიუსაფარ მოხუცებულთა მზრუნველობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, ბენეფიციარებს ადგილზე გაეწიათ სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება. 2022

წლის განმავლობაში განხორციელდა დღე-ღამის მანძილზე სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. ყოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბენეფიციარების ყოველდღიური ცხოვრებით, მათი ჯანმრთელობით და იღებენ შემოწირულობას სხვადასვა სახის მატერიალური მარაგებით, რაც სათნოების სახლში მცხოვრებ მოზინადრეებს ხმარდება. სათნოების სახლი ფინანსდება სუბსიდიით, გარდა ამისა მას გააჩნია საკუთარი შემოსავალი -ბენეფიციართა კუთვნილი პენსიის 80% და ასევე იმ ბენეფიციართა შემოსავლით რომელთა ხარჯების ანაზღაურება ხდება მათი ოჯახის წევრთა და სხვა ნათესავთა მიერ. (თვიური შემონატანია 300ლარი) საკუთარი შემოსავალი გამიზნულია სხვადასხვა მიმართულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განკარგულების საფუძველზე.

**შუალედური შედეგი:**

- ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

**6.4 დედათა და ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

